MINISTÈRE
DE L'INTÉRIEUR

*Liberté*
*Égalité*
*Fraternité*

შინაგან საქმეთა სამინისტრო
უცხოელთა გენერალური დირექტორატი საფრანგეთში



# თავშესაფრის მაძიებლთს გზამკვლევი საფრანგეთში

თშგ სექტემბერი2020

# სარჩევი


1. მფარველობის სხვადასხვა ფორმები ........................................ 5

1.1. ლტოლვილის სტატუსი. ........................................ 5

1.2. მეორადი მფარველობა. ........................................ 5

2. პროცედურაზე ხელმისაწვდომობა და თავშესაფარზე განაცხადის რეგისტრაცია ........................................ 6

2.1. თავშესაფრის მაძიებელთა პირველადი მიღება. ........................................ 6

2.2. თავშესაფარზე განაცხადის რეგისტრაცია ერთიან მიმღებ პუნქტში. ........ 7

2.2.1. პირველი ეტაპი : პრეფექტურის მიერ თავშესაფარზე განაცხადის რეგისტრაცია. ........................................ 7

■ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენა. ......... 8

■ თავშესაფრის მოთხოვნის კვალიფიკაცია. ........................................ 9

■ ენის არჩევანი გასაუბრებაზე OFPRA-ში. ........................................ 10

■ თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა. ........................................ 10

■ თავშესაფრის გარდა სხვა მოტივით ბინადრობის უფლების მიღების შესაძლებლობა. ........................................ 11

2.2.2. მეორე ეტაპი: საჭიროებების შეფასება და OFII-ს მხარდაჭერა. ........................................ 12

■ ერთიან მიმღებ პუნქტში თქვენი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინება. ........................................ 12

■ შემოთავაზება მხარდაჭერაზე. ........................................ 12

2.3. მეგზურობა ერთიანი მიმღები პუნქტის გავლის შემდეგ. ........................ 13

3. თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პირობები ........................ 13

3.1. ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველობის ოფისის (OFPRA) მიერ საქმის განხილვა. ........................................ 13

■ OFPRA-ს ფორმულარის შევსება. ........................................ 14

■ დოსიეს გაგზავნა OFPRA-ში. ........................................ 14

■ OFPRA-ს მიერ განაცხადის მიღების დადასტურება. ........................................ 15

■ მოთხოვნის ჩვეულებრივი ან დაჩქარებული პროცედურით განხილვა. ........................ 15

■ პერსონალური გასაუბრება OFPRA-ში. ........................................ 16

■ სამედიცინო შემოწმება. ........................................ 17

■ OFPRA-ს გადაწყვეტილება. ........................................ 17

■ OFPRA-ს გადაწყვეტილების გასაჩივრება. ........................................ 19

■ ბინადრობის უფლების შეწყვეტა OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემისთანავე. ...... 19

3.2. თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლოს (CNDA) მიერ საქმის განხილვა. ........................................ 20

■ საჩივრის წარდგენის ვადები. ........................................ 20

■ ადვოკატის დახმარება. ........................................ 20

■ გასაჩივრება. ........................................ 21

■ საჩივრის მიღების დასტური. ........................................ 22

■ გასაჩივრების შემაჩერებელი ხასიათი. ........................................ 22

■ CNDA-ში მოსმენა. ........................................ 23

■ CNDA-ს გადაწყვეტილება. ........................................ 24

■ ბინადრობის უფლების დასასრული CNDA-ს გადაწყვეტილების შემდეგ. ..................... 24

3.3. დახურული თავშესაფრის მოთხოვნის საქმის ხელახალი გახსნა. ............... 25

3.4. ხელმეორედ განხილვა. ........................................ 25

**4. თავშესაფრის მაძიებლის მიღების მატერიალური პირობები და უფლებები ........ 26**

**4.1. თავშესაფრის მაძიებლის საცხოვრებელი. ........ 27**
- ■საცხოვრებელი ადგილები. ........ 27
- ■საცხოვრებელში განთავსება. ........ 27
- ■საცხოვრებელ ადგილზე განთავსება და მისი დატოვება. ........ 28

**4.2. თავშესაფრის მაძიებლის საარსებო შემწეობა (ADA). ........ 28**
- ■სარგებლობის პირობები. ........ 28
- ■დახმარების მოთხოვნა. ........ 29
- ■საარსებო შემწეობის ოდენობა. ........ 29
- ■საარსებო შემწეობის დარიცხვა. ........ 29
- ■გასაჩივრება. ........ 30

**4.3. ხელმისაწვდომობა განათლებაზე. ........ 31**

**4.4. ხელმისაწვდომობა მკურნალობაზე. ........ 31**
- ■სად შეიძლება მკურნალობა? ........ 31
- ■როგორ მოიპოვოთ მკურნალობის დაფინანსება? ........ 32

**4.5. შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობა. ........ 33**

**5. თავშესაფრის მოთხოვნაზე უარის შედეგები ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებასთან მიმართებაში ........ 34**

**5.1. OFPRA-ს ან CNDA-ს უარყოფითი გადაწყვეტილება. ........ 34**
- ■OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემისთანავე ბინადრობის უფლების შეწყვეტა. ........ 34
- ■ბინადრობის უფლების შეწყვეტა CNDA-ს გადაწყვეტილების გამოცხადების ან გაცემისთანავე. ........ 36

**5.2. სამშობლოში დაბრუნებაში დახმარება. ........ 37**

**5.3. სამშობლოში იძულებითი დაბრუნება. ........ 38**

**6. მფარველობით მოსარგებლეთა უფლებები ........ 38**

**6.1. საფრანგეთში ცხოვრება. ........ 38**

**6.2. ოჯახის ცხოვრება საფრანგეთში. ........ 39**
- ■თქვენი ოჯახის წევრების საფრანგეთში ცხოვრების უფლებები. ........ 39
- ■ოჯახის გაერთიანების უფლება. ........ 39

**6.3. ინტეგრაცია. ........ 40**
- ■იმიგრაციის და ინტეგრაციის ფრანგულ ოფისთან (OFII) საინტეგრაციო ხელშეკრულების გაფორმება ........ 40

**6.4. სოციალური უფლებები. ........ 41**
- ■ხელმისაწვდომობა დაბინავებაზე. ........ 41
- ■ხელმისაწვდომობა დასაქმების ბაზარზე. ........ 41
- ■ხელმისაწვდომობა მკურნალობაზე. ........ 41
- ■სოციალური სარგებელი და ოჯახზე გათვლილი დახმარება. ........ 42

**6.5. საზღვარგარეთ მოგზაურობა. ........ 43**

**6.6. მოქალაქეობა. ........ 43**

**6.7. მფარველობის დასრულება. ........ 44**

**დანართი: საჭირო მისამართები ........ 45**

**1. მისამართები სახელმწიფო მასშტაბით ........ 46**
- ■ინსტიტუციები ........ 46
- ■საერთაშორისო ორგანიზაციები ........ 46
- ■ასოციაციები ........ 46

**2. ადგილობრივი მისამართები ........................................ 49**
- ერთიანი მიმღები პუნქტები ........................................ 49
- პრეფექტურები ........................................ 51
- იმიგრაციის და ინტეგრაციის ფრანგული ოფისის (OFII) ტერიტორიული წარმომადგენლობები ........................................ 56

# 1. მფარველობის სხვადასხვა ფორმები

როდესაც თავშესაფარზე წარადგენთ განაცხადს, თუ მისი განხილვა საფრანგეთის პასუხისმგებლობის საქმეა, თქვენი მოთხოვნის შესწავლას აწარმოებს დაცვის უწყება, ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველობის ფრანგული ოფისი (OFPRA), რომელიც თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლოს (CNDA) კონტროლს ექვემდებარება.

თავშესაფარზე მოთხოვნის განხილვის დასასრულს, დაცვის უწყებას შეუძლია მფარველობის მონიჭება: ან ლტოლვილის სტატუსი, ან მეორადი მფარველობით სარგებლობა.

## 1.1. ლტოლვილის სტატუსი.

ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას სამი საფუძველი გააჩნია:

- **1951 წლის 28 ივლისის ჟენევის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ.** ლტოლვილის სტატუსი მიენიჭება « ნებისმიერ პირს, რომელიც საფუძვლიანი შიშის გამო დევნილია საკუთარი რასის, რელიგიის, მოქალაქეობის, გარკვეული სოციალური ჯგუფის კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, იმყოფება იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ რომლის მოქალაქეობაც მას აქვს და არ შეუძლია, ან ამ შიშიდან გამომდინარე, არ სურს რომ ისარგებლოს იმავე ქვეყნის მფარველობით »;
- **« კონსტიტუციური » თავშესაფარი** რომელიც გამომდინარეობს 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულის მე-4 პუნქტიდან. ლტოლვილის სტატუსი მიენიჭება « ნებისმიერ პირს რომელიც დევნილია თავისუფლებისთვის სასარგებლოდ განხორციელებული საქმიანობისთვის »;
- **გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (HCR) მანდატით:** თუ თქვენ მან გაღიარათ ლტოლვილად მისი დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე.

## 1.2. მეორადი მფარველობა.

მეორადი მფარველობით სარგებლობა ენიჭება პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პირობებს, მაგრამ ვისთვისაც არსებობს სერიოზული, სინამდვილეში აღიარებული მოტივები იმის სარწმუნოდ რომ, სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, იგი დგას საფრთხის შემცველი ერთი რომელიმე რისკის ქვეშ :

- სიკვდილით დასჯა;
- ტანჯვა, ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა;
- სამოქალაქო პირის შემთხვევაში, ძალადობის შედეგად საკუთარი სიცოცხლის მიმართ სერიოზული და პიროვნული საფრთხე, რომელიც შესაძლოა ვრცელდებოდეს ადამიანებზე მიუხედავად მათი პირადი სიტუაციისა და რომელიც შიდა ან საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შედეგია.

**მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი**

1954 წლის 28 სექტემბრის ნიუ იორკის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსთან დაკავშირებული კონვენციის თანახმად, მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი მიენიჭება ნებისმიერ პირს, *"რომელსაც არც ერთი სახელმწიფო, თავისი კანონმდებლობის გათვალისწინებით, არ ცნობს თავის მოქალაქედ"*

ეს სტატუსი განსხვავდება ზემოთაღნიშნული ორი სხვა სტატუსისგან და თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურაში არ განიხილება. შესაბამისად, თქვენ პრეფექტურას კი არ უნდა მიმართოთ, არამედ პირდაპირ OFPRA-ს, რომელიც თქვენი განაცხადის განხილვის შემდეგ ადმინისტრაციული ტრიბუნალის სასამართლო კონტროლით ამ სტატუსის მონიჭებას შეძლებს.

# 2. პროცედურაზე ხელმისაწვდომობა და თავშესაფარზე განაცხადის რეგისტრაცია

იმისათვის რომ საფრანგეთში თავშესაფარზე შეიტანოთ განაცხადი, პირველ რიგში უნდა მიმართოთ თავშესაფრის მაძიებელთა პირველადი მიღების სტრუქტურას (SPADA-ს) რომელიც თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურასთან დაკავშირებით დაგაკვალიანებთ და ტერიტორიულად კომპეტენტურ მიმღებ პუნქტში შეხვედრის თარიღს დაგინიშნავთ.

მიმღები პუნქტი დაარეგისტრირებს თქვენს მოთხოვნას თავშესაფარზე, დაადგენს რომელ პროცედურას ექვემდებარებით, შეაფასებს თქვენს მოწყვლადობას და განსაზღვრავს ზოგიერთი პირობის საფუძველზე მოგანიჭოთ მიღების მატერიალური პირობები (საცხოვრებელი, საარსებო წყარო – ფულადი დახმარების სახით).

**ბინადრობის რა პირობების საფუძველზე შეგიძლიათ თავშესაფრის მოთხოვნა?**

ბინადრობის უფლებით სარგებლობის მიუხედავად, განურჩევლად თქვენი სიტუაციისა, ლეგალურია ის თუ არალეგალური, შეგიძლიათ თვშესაფრის მოთხოვნა. თავშესაფრის მოთხოვნის დარეგისტრირებას არ აფერხებს ის გარემოება, რომ თქვენ არალეგალურად შემოხვედით საფრანგეთში.

რეკომენდებულია, რომ თავშესაფარზე მოთხოვნა საფრანგეთის ტერიტორიაზე შემოსვლიდან რაც შეიძლება მოკლე დროში დაარეგისტრიროთ, მაშინაც კი, თუ ფლობთ საფრანგეთის მოქმედ ვიზას. თუ თქვენი განაცხადი ქვეყანაში შემოსვლიდან 90 დღის ვადაში არ წარადგინეთ, შესაძლოა რომ თქვენი მიღება არ დაკმაყოფილდეს.

## 2.1. თავშესაფრის მაძიებელთა პირველადი მიღება.

სანამ მიხვიდოდეთ თვშესაფრის მაძიებელთა ერთიან მიმღებ პუნქტში (GUDA), ჯერ უნდა მიაკითხოთ თავშესაფრის მაძიებელთა პირველადი მიღების სტრუქტურას (SPADA). ეს პირველადი მიღების სტრუქტურები, რომელთაც ზოგადად ასოციაციები განაგებენ, უზრუნველყოფენ თქვენს მეგზურობას იმ მოქმედებების განხორციელებაში რაც თვშესაფრის მოთხოვნის პროცედურაზე ხელმისაწვდომობის საშუალებას მოგცემთ.

პირველად მიღებას კურირებენ ოპერატორები რომელთა მისიაშიც შედის :

- თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურაზე თქვენი ინფორმირება;
- თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის სარეგისტრაციოდ თქვენი სიტუაციის შესახებ ინფორმაციების ელექტრონული აღრიცხვა ;
- შეხვედრის თარიღის დანიშვნა ერთიან მიმღებ პუნქტში და გამოძახების შესახებ დოკუმენტის გადმოცემა. ეს დოკუმენტი მიგითითებთ ადგილს, დღეს და საათს რა დროსაც აუცილებლად უნდა გამოცხადდეთ ერთიან მიმღებ პუნქტში. ამ შეხვედრას ზოგადად ადგილი აქვს ოპერატორთან თქვენი შეხვედრიდან არა უგვიანეს სამი დღის შემდეგ. ჭარბი მოთხოვნის შემთხვევაში, ეს ვადა შესაძლოა 10 დღემდე გაიზარდოს.
- ფოტოების გადაღება, რაც ერთიან მიმღებ პუნქტში მოგეთხოვებათ.

თქვენი დოსიეს ერთობლიობა დემატერიალიზებული ფორმით ერთიან მიმღებ პუნქტს გადაეცემა.

<u>ყურადღება:</u> თქვენ იმპერატიულად უნდა დაიცვათ გამოძახების შესახებ დოკუმენტზე აღნიშნული თარიღი და დრო. დაგვიანების შემთხვევაში, შესაძლოა თქვენი მიღება არ მოხდეს და ხელმეორედ დაგჭირდეთ პირველადი მიღების სტრუქტურაში მისვლა და შეხვედრის თარიღის მოპოვება.

აღსანიშნავია, რომ SPADA-ს სტრუქტურებს ეკუთვნით აგრეთვე თქვენთვის ადმინისტრაციული მისამართის მონიჭება იმ შემთხვევაში, თუ ერთიან მიმღებ პუნქტში დარეგისტრირების დროს ვერ მოხდა თქვენი CADA-ში ან სხვა სტაბილურ, თავშესაფრის მაძიებელთათვის განკუთვნილ საცხოვრებელში განთავსება (იხილეთ 2.2.1 ნაწილში არსებული რუბრიკა « როგორ დაადასტუროთ თქვენი საცხოვრებელი ადგილი ? »).

## 2.2. თავშესაფარზე განაცხადის რეგისტრაცია ერთიან მიმღებ პუნქტში.

იმისათვის რომ თავშესაფარზე თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირდეს, SPADA-ს მიერ გადმოცემული გამოძახების შესახებ დოკუმენტის თანახმად უნდა გამოცხადდეთ ერთიან მიმღებ პუნქტში (იხილეთ 2.1.)

ერთიანი მიმღები პუნქტი შედგება პრეფექტურის და იმიგრაციის და ინტეგრაციის ფრანგული ოფისის (OFII) მუშაკებისგან რომლებიც სპეციალურად თქვენს მიღებას უზრუნველყოფენ.

არსებობს 33 ერთიანი მიმღები პუნქტი რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება (შეგიძლიათ იხილოთ თანდართული სია).

ერთიან მიმღებ პუნქტში პირველი შეხვედრა ორი ეტაპს მოიცავს :

- პირველ ეტაპზე პრეფექტურის მუშაკებთან ხდება თქვენი განაცხადის რეგისტრაცია (2.2.1);
- მეორე ეტაპზე OFII-ს მუშაკებთან ხდება თქვენი საჭიროებების შეფასება, რათა განისაზღვროს რა წესით მიიღებთ მხარდაჭერას (2.2.2).

**უნდა გაგაჩნდეთ თუ არა ადმინისტრაციული მისამართი თავშესაფარზე განაცხადის რეგისტრაციისას ?**

თავშესაფარზე განაცხადის რეგისტრაციისას, ადმინისტრაციული მისამართის ფლობა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

სამაგიეროდ, იგი დაგჭირდებათ თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობის განახლებისას (იხილეთ რუბრიკა « თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობის გაცემა » 2.2.1 ნაწილში).

### 2.2.1. პირველი ეტაპი : პრეფექტურის მიერ თავშესაფარზე განაცხადის რეგისტრაცია.

**თქვენ გახლავთ არასრულწლოვანი ბავშვები ?**

თუ თქვენ გახლავთ არასრულწლოვანი ბავშვები, ისინიც მიჩნეული იქნებიან როგორც თავშესაფრის მაძიებლები და მათი აღრიცხვა მოხდება თვშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობაში. თუ ორივე მშობელი თვშესაფრის მაძიებელია, არასრულწლოვნების ჩაწერა ხდება ორივეს მოწმობაში, როგორც რეფერენტი მშობელი მთელი პროცედურის მანძილზე. ეს დოკუმენტი ადასტურებს არა ოჯახის შემადგენლობას, არამედ თავშესაფრის მოთხოვნის მიმდინარე პროცესს.

## ■ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენა.

მას შემდეგ რაც ერთიანი მიმღები პუნქტი პირველადი მიღების სტრუქტურის მიერ გადაცემულ ინფორმაციას აღრიცხავს, პრეფექტურის მუშაკი დაადგენს არის თუ არა საფრანგეთი თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყანა.

ამისათვის, თუ ხართ 14 წლის, ან მეტი წლოვანების, იგი აგიღებთ ათივე თითის ანაბეჭდს და ინდივიდუალურად გაგესაუბრებათ, რათა გაარკვიოს წარმოშობის ქვეყნიდან თქვენი მარშრუტი და დაადგინოს სავარაუდო კავშირები, მათ შორის მაგალითად ოჯახური, რომელიც შესაძლოა გაგაჩნდეთ სხვა მოვავშირე ქვეყნებთან.

ამ ინფორმაციების საფუძველზე დადგინდება თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყანა 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტის და საბჭოს რეგულაცია n°604/2013-ის თანახმად რომელსაც რეგულაცია "დუბლინი III" უწოდებენ.

**ქვეყნები რომლებსაც ეხებათ რეგულაცია დუბლინი III**

საქმე ეხება ევროკავშირის 28 წევრ ქვეყანას: გერმანია, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, დანია*, ესპანეთი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, რუმინეთი, გაერთიანებული სამეფო, სლოვაკეთი, სლოვენია და შვედეთი; აგრეთვე ოთხი ასოცირებული ქვეყანა: ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი.

* დანია არ ექვემდებარება « დუბლინი III »-ის რეგულაციას, მაგრამ 1990 წლის 15 ივნისის ხელმოწერილი დუბლინის კონვენციით მოქმედებს.

**საფრანგეთის გარდა თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი სხვა ქვეყანა შესაძლოა იყოს მაგალითად :**

- თუ რომელიმე სხვა წევრმა ქვეყანამ თქვენზე გასცა მოქმედი ბინადრობის საბუთი ან ვიზა;
- თუ დადგინდა, რომ უკანონოდ გადაკვეთეთ საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო გზით სხვა წევრი ქვეყნის საზღვარი;
- თუ თქვენ ევროკავშირის ტერიტორიაზე იმ ქვეყნის საზღვრის გადაკვეთით მოხვდით სადაც უვიზოდ შეგიძლიათ შესვლა;
- თუ თქვენ თავშესაფარი უკვე მოთხოვნილი გაქვთ რომელიმე წევრ ქვეყანაში.

**თავშესაფრის მოთხოვნის განხილვა შესაძლოა ექვემდებარებოდეს სხვა წევრი ქვეყნის პასუხისმგებლობას?**

ეგრეთწოდებული « დუბლინი III » პროცედურა იწყებს მოქმედებას. ამ შემთხვევაში პრეფექტურა შეუდგება იმ ქვეყანასთან მოლაპარაკებებს რათა მოხდეს თქვენი გადამგზავრება. გადმოგეცემათ თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი ერთთვიანი მოწმობა, შემდეგ კი განახლებადი, ოთხ თვიანი საბუთი, რომელიც გაძლევთ საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებას იმ ქვეყანაში გამგზავრებამდე რომელმაც აღიარა საკუთარი პასუხისმგებლობა.

ამ გადამგზავრებას ორგანიზაციას უწევს პრეფექტურის სერვისები რომლებიც გაგაცნობენ გადამგზავრების შესახებ გადაწყვეტილებას რომელშიც მითითებული იქნება თქვენს გამგზავრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. თქვენ უფლება გაქვთ გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ ტრიბუნალში 15 დღის ვადაში.

## ■ თავშესაფრის მოთხოვნის კვალიფიკაცია.

**თუ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყანა საფრანგეთია,** OFPRA, კომპეტენტური ორგანო მას განიხილავს ან ჩვეულებრივ პროცედურაში, ან დაჩქარებულ პროცედურაში. დაჩქარებულ პროცედურაში OFPRA-ს მიერ განხილვის ვადები შემოკლებულია, მაგრამ ორივე პროცედურაში გარანტიები იგივეა.

- **თქვენი მოთხოვნა ავტომატურად ექვემდებარება დაჩქარებულ პროცედურას** ერთანი მიმლები პუნქტიდან ორ შემთხვევაში :
  - როდესაც გაქვთ ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყნის მოქალაქეობა (ამ ქვეყნების სია ხელმისაწვდომია პრეფექტურაში ან OFPRA-ს ინტერნეტ საიტზე);
  - როდესაც თავშესაფრის მოთხოვნა ერთხელ უკვე განახორციელეთ და საბოლოო უარყოფითი პასუხის შემდეგ, ხელმეორედ ითხოვთ მის განხილვას.

- **თქვენი მოთხოვნა შესაძლოა დაექვემდებაროს დაჩქარებულ პროცედურას** ერთანი მიმლები პუნქტიდან შემდეგ შემთხვევებში:
  - თუ უარს აცხადებთ რომ მოხდეს თქვენი ანაბეჭდების აღება;
  - თუ ცდილობთ რომ შეცდომაში შეიყვანოთ უფლებამოსილი პირები ყალბი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე, ყალბი მითითებების ან ზოგიერთი დამალული ინფორმაციების გამო;
  - თუ რამდენიმე განაცხადი სხვადასხვა გვარით და სახელით შეიტანეთ;
  - თუ დააგვიანეთ თავშესაფრის მოთხოვნა (საფრანგეთში შემოსვლიდან 90 დღეზე მეტი გავიდა და 60 დღეზე მეტი გვიანაში);
  - თუ თავშესაფარს ითხოვთ რათა შეაფერხოთ თქვენს მიმართ დაწესებული ქვეყნიდან გაძევების ზომა;
  - თუ თქვენი ყოფნა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ ან სახელმწიფო უსაფრთხოებას.

განაცხადის რეგისტრაციის დროს OFPRA-ს შეუძლია რომ დაჩქარებული პროცედურა ჩვეულებრივი პროცედურით შეცვალოს გარდა იმ შემთხვევისა როცა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მოტივით მოხდა განაცხადის დაჩქარებულ პროცედურაზე დაქვემდებარება.

თუ თქვენი მოთხოვნა დაჩქარებულ პროცედურას ექვემდებარება, ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაცია გადმოგეცემათ რამდენიმე ასლის სახით. საჭიროა, რომ განაცხადით მიმართვის დროს, ერთი ასლი გაუგზავნოთ OFPRA-ს და ერთიც CNDA-ს, თუ OFPRA-ს გადაწყვეტილებას ასაჩივრებთ.

**განსაკუთრებული შემთხვევა : ტრიბუნალის ან ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით თქვენ ექვემდებარებით ქვეყნიდან გაძევების, ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის აკრძალვის ზომას?**

თუ თქვენ დაგიწესდათ მსგავსი ზომა, ეს თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციას არ აფერხებს. თუ თქვენი განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყანა საფრანგეთია, შესაძლებელია მოგათავსონ დროებითი დაკავების ცენტრში, ან დაგიწესდეთ შინაპატიმრობა.

ამ შემთხვევაში, შინაპატიმრობის ან დროებითი დაკავების საფუძველზე, OFPRA თქვენს მოთხოვნას შემოკლებულ ვადებში განიხილავს (95 საათი). განაცხადის მიუღებლობის, ან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ქვეყნის ტერიტორიაზე თქვენი ბინადრობის უფლება იზღუდება. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ადმინისტრაციულ მოსამართლეს გაძევების ზომის გაუქმების მოთხოვნით 48 საათის ვადაში (იხილეთ ნაწილი 5.1).

### ■ ენის არჩევანი გასაუბრებაზე OFPRA-ში.

**თუ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყანა საფრანგეთია,** წერილობითი განაცხადის შემდეგ, გასაუბრების ნიადაგზე, პირადად მოგისმენენ OFPRA-ში.

თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციის დროს თქვენ უნდა აირჩიოთ სასაუბრო ენა რომელზედაც გსურთ რომ მოგისმინონ OFPRA-ში. თქვენ გადმოგეცემათ საინფორმაციო ბროშურა OFPRA-ში არსებული 115-ზე მეტი სასაუბრო ენის შესახებ. არჩევანის შეცვლის შემდგომში ველარ შეძლებთ და ეს ენა იქნება გამოყენებული თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურის წარმოების მანძილზე.

თუ თქვენი არჩევანი არ გააკეთეთ საინფორმაციო ბროშურაში ჩამოთვლილ ენებს შორის, იმ ენაზე მოგისმენენ რომელსაც საკმარისად ფლობთ.

თუ გსურთ რომ გააპროტესტოთ თქვენი პროცედურის წარმოების განმავლობაში გამოყენებული ენა, ეს შეგიძლიათ OFPRA-ს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას CNDA-ში შეტანილი საჩივრის ფარგლებში.

<u>ყურადღება:</u> OFPRA-ში გასაუბრების ხასიათი და ხანგრძლივობა ენის ზედაპირულ ცოდნაზე მეტს მოითხოვს. მნიშვნელოვანია, რომ ენას რომელსაც აირჩევთ, გესმოდეთ და გაგაჩნდეთ ამ ენაზე გამოხატვის უნარი.

### ■ თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა.

თქვენი მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენის და პროცედურის კვალიფიკაციის შემდეგ, გადმოგეცემათ თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი მოწმობა.

**როდესაც თქვენი მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელია სხვა წევრი ქვეყანა,** პირველი მოწმობის მოქმედების ვადა არის 1 თვე. იგი განახლდება ორ თვიანი პერიოდით (იხილეთ რუბრიკა « თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენა » ნაწილში 2.2.1).

**როდესაც თქვენი მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელია საფრანგეთი,** გადმოგეცემათ თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი პირველი მოწმობა. ეს მოწმობა ძალაშია:

- ექვსი თვე, როდესაც თქვენი მოთხოვნა ჩვეულებრივი პროცედურის ფარგლებში განიხილება;

- ექვსი თვე, როდესაც იგი დაჩქარებული პროცედურის ფარგლებში განიხილება.

თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელ მოწმობაზე უარის თქმა პრეფექტურას შეუძლია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- თქვენ წარადგინეთ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე ხელახალი განაცხადი მაშინ როცა თავშესაფრის მოთხოვნაზე ხელმეორედ განხილვის მოთხოვნა უარყოფილ იქნა (იხილეთ 3.4.);
- თქვენ ექვემდებარებით ექსტრადიციის საბოლოო გადაწყვეტილებას ქვეყანაში რომელიც არ წარმოადგენს თქვენს წარმოშობის ქვეყანას, ან ექვემდებარებით დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე გადაცემის გადაწყვეტილებას, ან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაცემის მოთხოვნას.

მოწმობის მიღებიდან 21 დღის ვადაში (8 დღე ხელმეორედ განხილვის ან პროცედურის ხელმეორედ გახსნის შემთხვევაში, იხილეთ ნაწილი 3.3 და 3.4) OFPRA-ში უნდა გააგზავნოთ თავშესაფრის მოთხოვნის ბლანკი რომელიც

გადმოგცეს პრეფექტურაში (იხილეთ 3.1 «OFPRA-ს მიერ განხილვა »). თუ თქვენი დოსიე სრულყოფილია, OFPRA წერილობით გიპასუხებთ, რომ იგი ჩაიბარა.

თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობის განახლებისთვის უნდა გამოცხადდეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის შესაბამის პრეფექტურაში. თქვენი მოწმობის განახლება ხდება ექვსი თვის ვადით როგორც ჩვეულებრივი პროცედურის, ასევე დაჩქარებული პროცედურის შემთხვევაში.

საბუთის გასანახლებლად ყოველ მოთხოვნას უნდა დაურთოთ დოკუმენტაცია რომელსაც პრეფექტურა ითხოვს, როგორიც არის თქვენი ადმინისტრაციული მისამართის მოწმობა. იმისათვის რომ დაადასტუროთ სასაჩივრო პროცესი CNDA-ში, უნდა წარადგინოთ შეტანილი საჩივრის დამადასტურებელი დოკუმენტი (იხილეთ ნაწილი 3.2 « თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლოს მიერ განხილვა »).

**როგორ დაადასტუროთ თქვენი საცხოვრებელი?**

2019 წლის 1-ლი იანვრიდან რეგისტრირებული მოთხოვნებისთვის, საცხოვრებელი შეგიძლიათ დაადასტუროთ შემდეგნაირად:

- თუ დაბინავებული ხართ თავშესაფრის მაძიებლებისთვის განკუთვნილ საცხოვრებელში, ან თავშესაფრის მაძიებლებისთვის ყველა სხვა სტაბილურ საცხოვრებელ სტრუქტურაში (არ იგულისხმება სასტუმრო დაწესებულებები) შეგიძლიათ წარადგინოთ ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

- თუ ცხოვრობთ საცხოვრებელში რომლის მესაკუთრე ან დამქირავებელი თქვენ ხართ, ან რომელიც ეკუთვნის, ან რომელსაც ქირაობს თქვენი მეუღლე, შვილი, მშობელი, შეგიძლიათ წარადგინოთ ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

- სხვა დანარჩენ შემთხვევაში, ადმინისტრაციული მისამართი უნდა გაიხსნათ ამისათვის ავტორიზებულ პირველადი მიღების სტრუქტურაში, რომელიც შესაბამისად გასცემს ადმინისტრაციული მისამართის მოწმობას (იხილეთ 2.1)

2019 წლის 1-ლი იანვრიდან რეგისტრირებული თავშესაფრის მოთხოვნებისთვის, საცხოვრებელი შეგიძლიათ დაადასტუროთ ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით, მაგრამ ამასთანავე, შეგიძლიათ განაგრძოთ სხვა პირის მისამართით სარგებლობა, თუ მანამდე ეს თქვენი შემთხვევა იყო.

თავშესაფრის მოთხოვნის დამადასტურებელი მოწმობა განახლებადია მთელი იმ დროის მანძილზე რა დროსაც სარგებლობთ ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით. წესით, ბინადრობის უფლებით სარგებლობთ თავშესაფრის მოთხოვნის საქმის წარმოების მანძილზე, OFPRA-ს გადაწყვეტილებამდე, ან CNDA-ში გასაჩივრების შემთხვევაში, გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, ან თუ ადგილი ჰქონდა, ღია სასამართლო მოსმენამდე.

თუმცა, თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა შესაძლოა ჩამოგართვან, ან არ გაგიგრძელონ როდესაც:

- OFPRA-მ არ დააკმაყოფილა, ან განსახილველად არ მიიღო თქვენი მოთხოვნა, რაც განაპირობებს ტერიტორიაზე ბინადრობის უფლების დასრულს (იხილეთ 5.1 « OFPRA-დან ან CNDA-დან უარყოფითი გადაწყვეტილება »);
- აშკარაა, რომ არ მოხდა CNDA-ში განსაზღვრული ვადების დაცვა (იხილეთ 3.2 « თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლოს მიერ განხილვა »).

ყურადღება: თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა ევროკავშირის სხვა ქვეყნებში თავისუფლად მიმოსვლის საშუალებას არ გაძლევთ.

## ■ თავშესაფრის გარდა სხვა მოტივით ბინადრობის უფლების მიღების შესაძლებლობა.

თუ თავშესაფრის მოთხოვნის საკითხის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყანა საფრანგეთია, ინფორმირებული იქნებით თავშესაფრის გარდა სხვა მოტივით ბინადრობის უფლების მიღების შესაძლებლობაზე.

გადმოგეცემათ საინფორმაციო დოკუმენტი სადაც მითითებული იქნება ვადა რომლის განმავლობაშიც შესაძლებლობა გაქვთ შეიტანოთ განაცხადი. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ბინადრობის უფლების მიღებაზე მოთხოვნას ველარ შეძლებთ, გარდა გამამართლებელი ახალი გარემოებების შემთხვევაში.

## 2.2.2. მეორე ეტაპი: საჭიროებების შეფასება და OFII-ს მხარდაჭერა.

### ■ ერთიან მიმღებ პუნქტში თქვენი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინება.

ერთიან მიმღებ პუნქტში გავლისას, პრეფექტურაში თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ, OFII-ს მუშაკი პირადად მიგიღებთ, რათა მოხდეს თქვენი მნიშვნელოვანი საჭიროებების შეფასება.

გასაუბრება კონფიდენციალურია და თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის მოტივებს არ ეხება. მთელი რიგი შეკითხვები დაგესმებათ რათა დადგინდეს მიღების სპეციფიკური პირობების საჭიროება. თუ თქვენი სიტუაცია ამას მოითხოვს, OFII-ს მუშაკი ამ მდგომარეობას გაითვალისწინებს რათა მოხდეს ადაპტირებულ საცხოვრებელში განთავსება.

თქვენ გაქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება კითხვარზე პასუხის გაცემას დაეთანხმდეთ ან არ დაეთანხმდეთ. უარის შემთხვევაში, ადმინისტრაცია პასუხისმგებელი ვერ იქნება თუ თქვენი განთავსება არაადაპტირებულ საცხოვრებელში მოხდა, ან OFPRA არ იქნა ინფორმირებული თქვენი სიტუაციის შესახებ.

თუ საფრანგეთში ჩამოსვლისას ფლობთ სამედიცინო დოკუმენტაციას, OFII-ს მუშაკი თქვენს დოსიეს კონფიდენციალური წესით გადასცემს OFII-ს ექიმს, რომელიც გადაწყვეტს ესაჭიროება თუ არა თქვენს სიტუაციას ადაპტირებული პირობები. თუ ავად ხართ, გაგაგზავნიან სამკურნალო დაწესებულებაში, ან ყველაზე ახლოს მდებარე საავადმყოფოს სასწრაფო განყოფილებაში.

თუ OFII-ს მუშაკი აღმოაჩენს მოწყვლად მდგომარეობას, თქვენი თანხმობით მას შეუძლია აცნობოს OFPRA-ს. ამ ინფორმაციის გადაცემა მიზნად ისახავს, საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრის მოთხოვნის საქმის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას (მაგალითად: შეზღუდული შესაძებლობების პირთათვის ხელმისაწვდომობის შექმნა, ან ჟესტების ენაზე თარჯიმნით უზრუნველყოფა). ამ საჭიროებებს OFPRA შეაფასებს.

მოწყვლად სიტუაციასთან დაკავშირებული საჭიროებების გათვალისწინება ხდება სოციალური მუშაკების მხრიდან მთელი პროცედურის განმავლობაში ან საცხოვრებელ სტრუქტურებში, ან ასოციაციებში რომლებიც სოციალურ და ადმინისტრაციულ მეგზურობას გიწევენ.

### ■ შემოთავაზება მხარდაჭერაზე.

ერთიან მიმღებ პუნქტში თქვენთან შეხვედრის დროს, OFII შემოგთავაზებთ მხარდაჭერას რომელიც საშუალებას მოგცემთ ისარგებლოთ მიღების მატერიალური პირობებით თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურის ფარგლებში უფლებით მინიჭებული ბინადრობის განმავლობაში.

ერთიან მიმღებ პუნქტში OFII-ს მიერ გადმოცემული მხარდაჭერის ამსახველი დოკუმენტი ადასტურებს თქვენს ოჯახურ შემადგენლობას, რათა განისაზღვროს თქვენი უფლებები მიღების მატერიალურ პირობებთან მიმართებაში. ეს დოკუმენტი ხელახლა შედგება მაშინ როდესაც ახალშობილი შეემატება ოჯახს, ან დაწყებული პროცედურის მანძილზე ბავშვის შეერთება ხდება მშობლებთან, რათა ახალი შემადგენლობის მიხედვით მოხდეს უფლებების განსაზღვრა. როგორც

წინამდებარე გზამკვლევის მე-4 ნაწილშია აღნიშნული, მიღების მატერიალური პირობები უფლებას გაძლევთ მიიღოთ:

- თუ არ ხართ დაბინავებული და ითხოვთ მხარდაჭერას, საცხოვრებელი აგილი, სადაც მოხდება თქვენი განთავსება (იხილეთ 4.1 « თავშესაფრის მაძიებლის საცხოვრებელი »);
- გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, თავშესაფრის მაძიებლისათვის განკუთვნილი ფინანსური დახმარება (იხილეთ 4.2 « თავშესაფრის მაძიებლის ფულადი დახმარება »).

რეგიონში მიმღები სტრუქტურის გადატვირთვის შემთხვევაში, OFII-მ შესაძლოა გადაგამისამართოთ სხვა რეგიონში, სადაც თქვენი მოთხოვნის განხილვის პერიოდში მოგიწევთ ბინადრობა (იხილეთ 4.1 « თავშესაფრის მაძიებლის საცხოვრებელი »).

## 2.3. მეგზურობა ერთიანი მიმღები პუნქტის გავლის შემდეგ.

ერთიანი მიმღები პუნქტის გავლის შემდეგ, შემოგთავაზებენ მეგზურობას თქვენს საცხოვრებელში თუ ბინადრობთ თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში (CADA-ში) ან დროებითი სტაბილური დაბინავების ცენტრში (არ იგულისხმება სასტუმრო).

თუ მსგავს ადგილას არ ხართ დაბინავებული, ამ მეგზურობას ითავებს პირველადი მიღების სტრუქტურა (SPADA) სადაც OFII გაგაგზავნით (იხილეთ ნაწილი 2.1).

ეს სოციალური, იურიდიული და ადმინისტრაციული მეგზურობა აგრეთვე გულისხმობს ადმინისტრაციული მისამართის გახსნასაც (იხილეთ რუბრიკა « როგორ დაადასტუროთ თქვენი საცხოვრებელი ადგილი » ნაწილში 2.2.1) და თუ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვა საფრანგეთის პასუხისმგებლობაა, თავშესაფრის მოთხოვნის დოსიეს შედგენა რომელიც OFPRA-ს უნდა გაუგზავნოთ.

<u>ყურადღება:</u> თუ თქვენი ადმინისტრაციული მისამართი SPADA-შია, თქვენს პასუხისმგებლობაში შედის წერილების რეგულარული შემოწმება და გაცნობა SPADA-ს მიერ შემუშავებული წესების მიხედვით.

# 3. თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პირობები

როდესაც თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვა საფრანგეთის პასუხისმგებლობაში შედის, მას განიხილავს ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველობის ოფისი რომელიც თავშესაფრის სამართლის სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება.

## 3.1. ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მფარველობის ოფისის (OFPRA) მიერ საქმის განხილვა.

თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციისას, პრეფექტურამ თქვენ გადმოგცათ სათანადო ფორმულარი, რომელიც უნდა შეავსოთ და განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადასცეთ OFPRA-ს.

OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილებების გასაჩივრება წარმოებს CNDA–ში (იხილეთ 3.2 თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლოს მიერ საქმის განხილვა).

განაცხადის შეტანისას, არ არის საჭირო მიუთითოთ რა სახის მფარველობის მიღება გსურთ (ლტოლვილის სტატუსი თუ მეორადი მფარველობა). საქმე ეხება ერთადერთ პროცედურას, რომლის განმავლობაშიც OFPRA–ს მიერ თქვენი მოთხოვნა შეისწავლება ჯერ ლტოლვილის სტატუსის კუთხით, ხოლო თუ თქვენი სიტუაცია მის პირობებს არ აკმაყოფილებს, იგი განიხილება მეორადი მფარველობის კუთხით.

## OFPRA-ს ფორმულარის შევსება.

**ფორმულარი შევსებული უნდა იყოს ფრანგულ ენაზე,** ხელმოწერილი და უნდა ერთვებოდეს მოქმედი თავშესაფრის მოთხოვნის მოწმობის ასლი, ორი ფოტოსურათი და სამგზავრო საბუთი თუ მას ფლობთ.

თუ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნა ექვემდებარება დაჩქარებულ პროცედურას, უნდა დაურთოთ საინფორმაციო დოკუმენტი რომელიც გადმოგცეს თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციის დროს.

ეს აუცილებელი საბუთებია, რათა თქვენი მოთხოვნა OFPRA–მ დაარეგისტრიროს.

თუ თქვენს თანმხლებ არასრულწლოვან შვილებს პერსონალური საფრთხე ემუქრებათ, საჭიროა ეს აღნიშნოს თავშესაფრის მოთხოვნის ფორმულარში. თუ ორივე მშობელი თავშესაფრის მაძიებელია, არასრულწლოვან შვილებთან დაკავშირებული საშიშროების შესახებ ინფორმაცია იწერება დედის ფორმულარში.

თქვენი თავშესაფრის მოთხოვნაში არსებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და არავითარ შემთხვევაში არ გადაეცემა თქვენი წარმოშობის ქვეყნის უწყებებს.

## დოსიეს გაგზავნა OFPRA–ში.

როდესაც დოსიე სრულყოფილი იქნება, **იგი უნდა გააგზავნოთ თავშესაფრის მოთხოვნის მოწმობის გაცემიდან არა უგვიანეს 21–ე დღეს** (მე–8 დღეს საქმის ხელმეორედ გახსნის მოთხოვნის შემთხვევაში – იხილეთ 3.3 დახურული თავშესაფრის მოთხოვნის საქმის ხელმეორედ გახსნა – ან ხელმეორედ განხილვა – იხილეთ 3.4 ხელმეორედ განხილვა).

იგი უნდა გაიგზავნოს მხოლოდ ფოსტით შემდეგ მისამართზე :

OFPRA
201, rue Carnot
94 136 FONTENAY-SOUS-BOIS CEDEX

მაგალითად, თუ მოწმობის გაცემის თარიღი 10 იანვარია, OFPRA–ში დოსიე გაგზავნილი უნდა იქნას არა უგვიანეს 31 იანვარს. ფოსტის ბეჭედი მიიჩნევა როგორც მტკიცებულება.

გირჩევთ რომ თქვენი დოსიე დაზღვეული წესით გააგზავნოთ და გარკვევით მიუთითოთ თქვენი გვარი « გამგზავნის » გრაფაში.

თუ თქვენი დოსიე სრულყოფილი არ არის, OFPRA მას უკან გიბრუნებთ და გეძლევათ მისი შევსებისთვის და გაგზავნისთვის დამატებითი 8 დღის ვადა (4 დღე საქმის ხელმეორედ გახსნის ან შესწავლის შემთხვევაში). თუ თქვენს დოსიეს ამ ვადაში არ გააგზავნით, OFPRA დახურავს თქვენს საქმეს, თქვენი

ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლება შეიზღუდება და თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა აღარ გაგრძელდება.

პროცედურის ნებისმიერ მომენტში ყოველთვის შეგიძლიათ OFPRA-ს წერილობით გაუგზავნოთ დამატებითი მასალები. კარგად შეინახეთ OFPRA-სთან მიმოწერის ასლები, ისევე როგორც ფოსტით სარგებლობის მტკიცებულებანი. OFPRA-ში ყოველ გასაგზავნ წერილში არ დაივიწყოთ თქვენი დოსიეს ნომრის მითითება რომელიც ფიგურირებს ოფისისგან მიღებულ თავშესაფარზე განაცხადის სარეგისტრაციო წერილში.

**მისამართს იცვლით პროცედურის მანძილზე?**

თუ OFPRA-ს გადაეცით თქვენი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და საცხოვრებელს იცვლით, აუცილებელია რომ OFPRA-ს აცნობოთ უმოკლეს ვადებში, უმჯობესია ტელე-სერვისის მეშვეობით რომელიც ხელმისაწვდომია OFPRA-ს ინტერნეტ საიტზე (www.ofpra.gouv.fr), რუბრიკაში « *Démarches en ligne* ». OFPRA ფაქტობრივად ბოლოს გადაცემულ მისამართზე გამოგიგზავნით წერილებს, მათ შორის, გასაუბრებაზე გამოცხადების შეტყობინებას და თქვენი თავშესაფრის მოთხოვნაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

როდესაც თქვენი მისამართი შეესაბამება საცხოვრებელს რომლის მესაკუთრეც ხართ ან დამქირავებელი, ან საცხოვრებელს რომელიც ეკუთვნის ან ქირაობს თქვენი მეუღლე, შვილი ან მშობელი და იცვლით მისამართს, ამის შესახებ უნდა აცნობოთ OFII-ს.

## OFPRA-ს მიერ განაცხადის მიღების დადასტურება.

როდესაც თქვენი დოსიე სრულყოფილია და OFPRA-მ განსაზღვრულ ვადაში მიიღო, იგი გიგზავნით საქმის მიღების დამადასტურებელ წერილს და თქვენი საქმის ნომერს.

ეს დოკუმენტი ოფიციალური მტკიცებულებაა იმის რომ OFPRA-ში თქვენი განაცხადი თავშესაფარზე შეტანილია.

ეს ის დოკუმენტია, რომელიც საშუალებას გაძლევთ განაახლოთ თავშესაფრის მოთხოვნაზე თქვენი პირველი მოწმობა (იხილეთ 2.2.1 «თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობის გაცემა »).

გასაუბრებაზე გამოძახება და სარეგისტრაციო წერილი ხშირად ერთდროულად იგზავნება. ერთს წერილის პირველი მხარე უკავია, მეორეს კი, იმავე წერილის მეორე მხარე. თუ გამოძახება სარეგისტრაციო წერილს არ ახლავს, იგი ცალკე წერილის სახით მოგვიანებით გამოგეგზავნებათ.

## მოთხოვნის ჩვეულებრივი ან დაჩქარებული პროცედურით განხილვა.

თქვენი თავშესაფრის მოთხოვნა OFPRA-ს მიერ ჩვეულებრივი ან დაჩქარებული პროცედურით განიხილება.

როგორც 2.2.1 ნაწილშია აღნიშნული (რუბრიკაში « თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის კვალიფიკაცია »), დაჩარებული პროცედურით განხილვის ვადა 15 დღემდეა შემცირებული, მაგრამ თქვენ იგივე გარანტიებით სარგებლობთ როგორც ჩვეულებრივი პროცედურის დროს. თქვენი მოთხოვნა OFPRA-ს მიერ დაჩქარებული პროცედურით განიხილება თუ ერთიან მიმღებ პუნქტში თქვენი მოთხოვნის რეგისტრაციისას იგი დაჩქარებულ პროცედურას დაექვემდებარა. OFPRA-მ შესაძლოა კვალიფიკაცია შეუცვალოს თქვენს მოთხოვნას თუკი იგი ამას საჭიროდ მიიჩნევს თქვენი საქმიდან ან თქვენი განსაკუთრებული სიტუაციიდან გამომდინარე, გარდა შემთხვევისა, როცა თქვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოს უსაფრთხოების მიმართ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

OFPRA-ს აგრეთვე შეუძლია დაჩქარებული პროცედურით განხილვის გადაწყვეტილება მიიღოს შემდეგ შემთხვევებში, როდესაც:

- წარადგინეთ ყალბი დოკუმენტები, ყალბი მითითებები, ან OFPRA-ს შეცდომაში შეყვანის მიზნით დამალეთ ინფორმაციები ან დოკუმენტები ;
- სხვადასხვა სახელით და გვარით მოითხოვეთ თავშესაფარი ;
- თქვენი თავშესაფრის მოთხოვნა მხოლოდ იმ საკითხებს მოიცავს რომლებიც მფარველობის საჭიროებასთან კავშირში არ არის ;
- თქვენგან გაცხადებული ინფორმაცია შეუსაბამო, ურთიერთ საწინააღმდეგო, აშკარად ყალბი ან ნაკლებად დამაჯერებელია და წინააღმდეგობაში მოდის იმასთან, რაც ოფისმა თქვენი წარმოშობის ქვეყნის შესახებ იცის.

საქმის დაჩქარებული პროცედურით წარმოების გასაჩივრებას შეძლებთ CNDA-სთან სასაჩივრო პროცესის დროს.

## ■ პერსონალური გასაუბრება OFPRA-ში.

OFPRA-ში თქვენი მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ მიიღებთ გამოძახებას გასაუბრებაზე.

გასაუბრება შესაძლოა არ შეგეხოთ მხოლოდ ორ შემთხვევაში:

- როდესაც თქვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისია იმისათვის რომ OFPRA-მ ლტოლვილის სტატუსი მოგანიჭოთ;
- როდესაც ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხანგრძლივად, თქვენი სურვილისგან დამოუკიდებლად, ხელს გიშლით გასაუბრებზე გამოცხადებაში.

თუ თქვენ დაგიბარეს გასაუბრებაზე, თქვენ უნდა გამოცხადდეთ OFPRA-ს ოფისში, Fontenay-sous-Bois-ში. თქვენ იქ მოგისმენთ OFPRA-ს « დაცვის ოფიცერი » თუ საჭიროა თარჯიმნის თანდასწრებით რომლის მომსახურებასაც OFPRA უზრუნველყოფს. თარჯიმანი იმ ენაზე გაგესაუბრებათ რომელი ენაც მიუთითეთ თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციისას ერთიან მიმღებ პუნქტში, ან იმ ენაზე რომელსაც საკმარისად ფლობთ (იხილეთ რუბრიკა « სასაუბრო ენის არჩევანი OFPRA-ში » ნაწილში 2.2.1). თუმცა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ითხოვოთ რომ ფრანგულ ენაზე მოგისმინონ. გამოყენებული ენის გასაჩივრება შეგიძლიათ მხოლოდ CNDA-ში სასაჩივრო პროცესის ფარგლებში.

**თუ ამ გასაუბრებაზე არ გამოცხადდებით, თქვენმა გამოუცხადებლობამ შესაძლოა OFPRA-ს თქვენი საქმის მასალების საფუძველზე მიაღებინოს გადაწყვეტილება, ან საქმის დახურვა გამოიწვიოს.** ასე რომ, შეფერხების შემთხვევაში, აუცილებელია OFPRA-ს აცნობოთ სულ მცირე 48 საათით ადრე, ან ელექტრონულად შეატყობინოთ ნებისმიერი დაგვიანება გამოძახებაში მითითებულ მისამართზე.

თუ სურვილი გაქვთ, გასაუბრებაზე შეგიძლიათ დაისწროთ ადვოკატი, ან OFPRA-ს მიერ აკრედიტირებული ასოციაციის წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია გასაუბრების დასასრულს კომენტარის გაკეთება. თუმცა, გასაუბრების გადადებას ადგილი არ ექნება, თუ ადვოკატი ან ასოციაციის წარმომადგენელი დანიშნულ დროს არ გამოცხადდება. თუ თქვენ შეზღუდული შესაძლებლობების ხართ, შეგიძლიათ ითხოვოთ რომ თან გახლდეთ მედიცინის მუშაკი, რომელიც მკურნალობის პროცესში მეგზურობას გიწევთ, ან ასოციაციის წარმომადგენელი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე მზრუნველობს.

თქვენი მოთხოვნის მოტივების გადმოცემის სიძნელეების გამო, ის რაც მაგალითად უკავშირდება სექსუალური ხასიათის ძალადობებს, თუ გსურთ რომ გასაუბრებას ადგილი ჰქონდეს თქვენთვის სასურველი სქესის წარმომადგენელ ოფისის მუშაკთან თუ თარჯიმანთან, შეგიძლიათ რომ OFPRA-ს გასაუბრების დღემდე, წინასწარ სთხოვოთ.

**გასაუბრება კონფიდენციალურია.** თქვენს განცხადებებს ოქმის სახით ჩაიწერს დაცვის ოფიცერი, ვისთანაც გასაუბრებას ჰქონდა ადგილი. თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, ეს ჩანაწერი გადმოგეცემათ სანამ გადაწყვეტილება იქნება მიღებული (ჩვეულებრივი პროცედურის შემთხვევაში) ან გადაწყვეტილებასთან ერთად (დაჩქარებულ პროცედურაში).

ადგილი აქვს აგრეთვე გასაუბრების აუდიო ჩაწერას. აუდიო ჩანაწერზე ხელმისაწვდომობა შესაძლებელია მხოლოდ უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მისი გასაჩივრების მიზნით.

**შეგიძლიათ თუ არა ფონტენ სუ ბუაში OFPRA-ს ოფისის გარდა სხვაგან დაესწროთ გასაუბრებას?**

შესაძლებელია რომ თქვენი გეოგრაფიული სიშორის გამო (მაგალითად როდესაც ზღვისიქითა ტერიტორიებზე იმყოფებით) ან თქვენი განსაკუთრებული სიტუაციის მიზეზით (როდესაც გადაადგილება არ შეგიძლიათ ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის გამო, ან თავისუფლება გაქვთ შეზღუდული) გასაუბრება წარიმართოს არა ფონტენ სუ ბუაში, არამედ დისტანციურად აუდიოვიზუალური კომუნიკაციის საშუალებით.

ამ შემთხვევაში, დამსწრე ადვოკატი ან საჭიროების შემთხვევაში, ასოციაციის წარმომადგენელი, თქვენს გვერდით იქნება, თარჯიმანი კი ოფისში, დაცვის ოფიცრის გვერდით.

როდესაც იმყოფებით ზღვისიქითა ტერიტორიაზე, ან ქვეყნის ზოგიერთ სახმელეთო ტერიტორიაზე, შესაძლებელია რომ OFPRA-ს მუშაკთან გასაუბრება პირისპირ გქონდეთ ან კაიენას OFPRA-ს ოფისში, თუ გვიანას დეპარტამენტში ცხოვრობთ, ან სხვა ტერიტორიებთან მიმართებაში, OFPRA-ს პერიოდული მისიების ფარგლებში.

## ■ სამედიცინო შემოწმება.

OFPRA-მ შესაძლოა მოითხოვოს რომ დაექვემდებაროთ სამედიცინო შემოწმებას. ამ სამედიცინო შემოწმებაზე უარის თქმა თქვენი მოთხოვნის არასრულყოფილების მიზეზად არ მიიჩნევა და OFPRA-ს გადაწყვეტილების მიღებაში ხელს არ შეუშლის. თუ ხართ არასრულწლოვანი და თავშესაფარზე განაცხადი თქვენს სახელზეა შეტანილი სასქესო ორგანოების დასახიჩრების რისკის გამო, თქვენს სამედიცინო შემოწმებას დააფინანსებს OFPRA. ექიმი სამედიცინო ცნობას პირდაპირ OFPRA-ს გადაუგზავნის, ხოლო ცნობის ასლს თქვენს მშობლებს, ან კანონიერ წარმომადგენელს პირადად გადასცემს.

## ■ OFPRA-ს გადაწყვეტილება.

### ✓ ვადები

OFPRA-ს გადაწყვეტილების მიღების ვადები სხვადასხვაა: საშუალოდ 15 დღე დაჩქარებული პროცედურისთვის და რამდენიმე თვემდე ჩვეულებრივი პროცედურისთვის. OFPRA-ს მხრიდან ხანგრძლივი დუმილი თქვენი განაცხადის უარყოფას არ ნიშნავს. თუ OFPRA-მ 6 თვის განმავლობაში თქვენს მოთხოვნაზე გადაწყვეტილება ვერ მიიღო, იგი ამის შესახებ წერილობით გაცნობებთ. ასე რომ, თქვენ რეგულარულად უნდა შეამოწმოთ თქვენი წერილები.

### ✓ **დადებითი გადაწყვეტილება** (იხილეთ ნაწილი 1 « მფარველობის სხვადასხვა ფორმები »)

თუ თქვენი მოთხოვნა თქვენს სასარგებლოდ გადაწყდა, თქვენ ან:

- **ლტოლვილად გცნობთ** OFPRA და გამოგიგზავნით ლტოლვილის სტატუსის მონიჭების გადაწყვეტილებას ;
- **ისარგებლებთ მეორადი მფარველობით** და OFPRA გამოგიგზავნით მეორადი მფარველობის მონიჭების გადაწყვეტილებას და აგრეთვე წერილს, რომელსაც წარადგენთ დაწესებულებებში რათა დაადსტუროთ მონიჭებული მფარველობა.

### ✓ უარყოფითი გადაწყვეტილება

OFPRA-ს შეუძლია მიიღოს სამი ტიპის უარყოფითი გადაწყვეტილება თქვენს თავშესაფრის მოთხოვნაზე:

- **OFPRA-მ თქვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა ;**

თქვენ შეგიძლიათ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროთ CNDA-ში. ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებასთან დაკავშირებული პირობები რაც თავშესაფრის

მოთხოვნას ეხება, მოცემულია რუბრიკაში « ბინადრობის უფლების შეწყვეტა OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემისთანავე » ნაწილში 3.1.

- **მიუღებლობის გადაწყვეტილება** შესაძლოა მიღებულ იქნას როდესაც:
  - ევრო კავშირის წევრ ქვეყანაში თქვენ უკვე სარგებლობთ თავშესაფრის მოთხოვნის ფარგლებში მონიჭებული მფარველობით;
  - თქვენ სარგებლობთ ლტოლვილის სტატუსით და შესაბამისი მფარველობით რომელიმე სხვა ქვეყანაში ან ფაქტობრივად იქ გიწევთ რეადმისია.

თქვენ შეგიძლიათ ეს გადაწყვეტილება CNDA-ში გაასაჩივროთ. ამ შემთხვევაში თქვენ მაინც ვეღარ სარგებლობთ ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით (იხილეთ « ბინადრობის უფლების შეწყვეტა OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემისთანავე » ნაწილში 3.1.).

- **საქმის დახურვის გადაწყვეტილება** შესაძლოა მიღებულ იქნას როდესაც :
  - თქვენი განაცხადის გამოთხოვის შესახებ აცნობეთ OFPRA-ს წერილობით, ან გასაუბრების დროს;
  - თქვენი განაცხადი 21 დღის ვადაში არ შეიტანეთ, ან გასაუბრებაზე არ გამოცხადდით;
  - განგებ აცხადებთ უარს მიაწოდოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია თქვენი მოთხოვნის განსახილველად;
  - თქვენთან დაკავშირება ვერ მოხდა რადგან თქვენი მისამართი ოფისს გონივრულ ვადაში არ მიაწოდეთ;
  - თქვენი მოთხოვნა ერთიან მიმღებ პუნქტში დარეგისტრირდა, მაგრამ ლეგიტიმური მოტივის გარეშე, OFPRA-ს თქვენი დოსიე არ გაუგზავნეთ.

თქვენ შეგიძლიათ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროთ არა CNDA-ში, არამედ ადმინისტრაციულ ტრიბუნალში. თქვენ ვეღარ სარგებლობთ ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით (იხილეთ « ბინადრობის უფლების შეწყვეტა OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემისთანავე » ნაწილში 3.1.). საქმის დახურვის გადაწყვეტილების გაცემიდან 9 თვის ვადაში თქვენ შეგიძლიათ ითხოვოთ თქვენი საქმის ხელმეორედ გახსნა (იხილეთ ნაწილი 3.3).

✓ **OFPRA-ს გადაწყვეტილების გაგზავნის წესი**

**OFPRA** გამოგიგზავნით გადაწყვეტილებას ფრანგულ ენაზე, აგრეთვე თქვენთვის გასაგებ ენაზე თარგმნილ დოკუმენტს, სადაც აღნიშნულია თქვენი გადაწყვეტილების მნიშვნელობა მაშინ როცა თქვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

**შესაძლებელია თუ არა, რომ OFPRA-მ თქვენი საქმის რეგისტრაცია, გასაუბრებაზე გამოძახება და გადაწყვეტილება გაცნობოთ დემატერიალიზებული ფორმით?**

OFPRA-მ შეიმუშავა მექანიზმი რომელიც მიზნად ისახავს რომ პირს პერსონალურ ანგარიშზე გაეგზავნოს წერილი რომელიც ასახავს თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციას, პირის პერსონალურ გასაუბრებაზე გამოძახებას და მის მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას. ეს მექანიზმი თავშესაფრის მოთხოვნის კონფიდენციალურობის სრულ გარანტიას უზრუნველყოფს.

როდესაც ეს მექანიზმი დაინერგება და თქვენს მიმართ იქნება გამოყენებული, თავშესაფრის მოთხოვნის დარეგისტრირებისთანავე ინფორმირებული იქნებით, ან როდესაც საფრანგეთია თქვენს თავშესაფრის მოთხოვნაზე პასუხისმგებელი ქვეყანა, იმ შემთხვევაში თუ 2.2.1 ნაწილში განმარტებული დუბლინის პროცედურა ბოლომდე ვერ შედგა. მაშინ ზემოთხსენებული მექანიზმის შესახებ საინფორმაციო წერილი გადმოგეცემათ.

## OFPRA-ს გადაწყვეტილების გასაჩივრება.

თქვენ შეძლებთ OFPRA–ს გადაწყვეტილება CNDA–ში გაასაჩივროთ მისი გაცემის თარიღიდან 1 თვის ვადაში (იხილეთ ნაწილი 3.2 « CNDA–ს მიერ საქმის განხილვა »). თუ სარჩელი არ შეიტანეთ CNDA–ში, ან არ დაიცავით სარჩელისთვის განსაზღვრული ერთ თვიანი ვადა, თქვენი უფლება – დარჩეთ ქვეყნის ტერიტორიაზე – იწურება, თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა ჩამოგერთმევათ ან არ განგიახლდებათ და თქვენ უნდა დატოვოთ საფრანგეთი.

თუ გსურთ გასაჩივრების საწარმოებლად ისარგებლოთ იურიდიული დახმარებით, მასზე მოთხოვნა OFPRA–ს გადაწყვეტილების გაცემიდან 15 დღის ვადაში უნდა გააგზავნოთ. გასაჩივრების ერთი თვის ვადა წყდება და ახლად განხლდება იმ თარიღიდან როდესაც იურიდიული დახმარების მოთხოვნაზე გაიცემა გადაწყვეტილება (იხილეთ რუბრიკა « ადვოკატის დახმარება » ნაწილში 3.2).

CNDA-ს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო საბჭოს მიერ. სარჩელი ან თქვენ შეგაქვთ ან OFPRA–ს.

## ბინადრობის უფლების შეწყვეტა OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემისთანავე.

თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის საქმის წარმოების მანძილზე, იგულისხმება სასამართლო პროცესიც, თქვენ სარგებლობთ ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით.

თუმცა თქვენი ბინადრობის უფლება იზღუდება როდესაც OFPRA იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

1. მიუღებლობის გადაწყვეტილება, რადგან თქვენ სხვა ქვეყნის მფარველობით უკვე სარგებლობთ და თუ ეს ქვეყანა ევრო კავშირის წევრი ქვეყანა არ არის, იქ თქვენ რეადმისიას ექვემდებარებით (იხილეთ ნაწილი 3.3);
2. საქმის დახურვის გადაწყვეტილება (იხილეთ ნაწილი 3.3);
3. უარყოფითი გადაწყვეტილება დაჩქარებული პროცედურით განხილულ მოთხოვნაზე იმ მოტივით, რომ თქვენ ხართ უსაფრთხო ქვეყნის მოქალაქე;
4. უარყოფითი გადაწყვეტილება დაჩქარებული პროცედურით განხილულ მოთხოვნაზე იმ მოტივით, რომ თქვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა საზოგადოებრივი წესრიგისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ;
5. უარყოფითი გადაწყვეტილება ხელმეორედ განხილვის მოთხოვნაზე, რომელიც შეფასებული იყო როგორც განსახილველად მისაღები;
6. მიუღებლობის გადაწყვეტილება ხელმეორედ განხილვის პირველ მოთხოვნაზე;
7. მიუღებლობის გადაწყვეტილება ან უარყოფითი გადაწყვეტილება მაშინ როცა ექვემდებარებით ქვეყნიდან გაძევების ზომას, ან ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის აკრძალვას, და რომ დაწესებული გაქვთ შინაპატიმრობა, ან ხართ დაკავებული (იხილეთ რუბრიკა « ადმინისტრაციის, ან ტრიბუნალის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარებით ქვეყნიდან გაძევებას ან ტერიტორიის აკრძალვას? ნაწილში 2.2.1)

აღნიშნულ შემთხვევებში, შესაძლოა თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა ჩამოგერთვათ, ან არ განგიახლდეთ და დაექვემდებაროთ იძულებას დატოვოთ საფრანგეთის ტერიტორია (იხილეთ ნაწილი 5).

## 3.2. თავშესაფრის სამართლის ეროვნული სასამართლოს (CNDA) მიერ საქმის განხილვა.

### ■ საჩივრის წარდგენის ვადები.

OFPRA-დან უარის მიღების შემდეგ თქვენ გეძლევათ ერთი თვის ვადა სარჩელის CNDA-ში შესატანად. თქვენ შეგიძლიათ:

- იმ შემთხვევაში თუ OFPRA-მ არ მიიღო თქვენი განაცხადი, ან არ დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნა, გადაწყვეტილების გაუქმების და მფარველობის მონიჭების მოთხოვნით მიმართოთ სასამართლოს;
- მეორადი მფარველობით სარგებლობის მონიჭების გადაწყვეტილების შემთხვევაში ითხოვოთ ლტოლვილად აღიარება. ამ შემთხვევაში, ინარჩუნებთ მეორადი მფარველობით სარგებლობის უფლებას (იხილეთ ნაწილი 6 « მფარველობით მოსარგებლეების უფლებები »), სანამ CNDA არ გაღიარებთ ლტოლვილად. გარდა ამისა, თუ CNDA ლტოლვილად არ გაღიარებთ, მას OFPRA-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა არ შეუძლია.

სარჩელი CNDA-ში უნდა შევიდეს ამ ერთი თვის ვადის ამოწურვამდე (მაგალითად, თუ თქვენი უარყოფითი გადაწყვეტილება 20 იანვარს გამოიტანეთ ფოსტიდან, CNDA-მ თქვენი სარჩელი უნდა მიიღოს არა უგვიანეს 21 თებერვლის შუაღამის 12 საათისა). CNDA-ში სარჩელის შეტანა შეგიძლიათ ჩვეულებრივი წერილის სახით, დაზღვეული წესით ან ფაქსით. მაშასადამე, სიფრთხილის დაცვის მიზნით, თქვენი სარჩელი გაგზავნილი უნდა იყოს წინა დღეს ერთი თვიანი ვადის ამოწურვამდე, ან ამ ვადის ამოწურვის დღეს თუ მას ფაქსით აგზავნით. თუ ეს ვადა არ დაიცავით, სასამართლო თქვენს სარჩელს არ მიიღებს და სასამართლო მოსმენისა და განხილვის გარეშე უარს მიიღებთ.

### ■ ადვოკატის დახმარება.

CNDA-ში გასაჩივრებისთვის და სასამართლო მოსმენისთვის შესაძლებლობა გაქვთ დაისწროთ ადვოკატი. ამისათვის შეგიძლიათ ითხოვოთ იურიდიული დახმარებით სარგებლობა. ადვოკატის მომსახურების ხარჯებს მთლიანად უზრუნველყოფს სახელმწიფო და ადვოკატს უფლება არ აქვს მოგთხოვოთ გასამრჯელო.

იურიდიული დახმარების მისაღებად უნდა მიმართოთ CNDA-ს იურიდიული დახმარების ბიუროს OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილების გაცემიდან 15 დღის ვადაში.

<u>CNDA-ს იურიდიული დახმარების ბიუროს (BAJ) მისამართი:</u>

Cour nationale du droit d'asile
35, rue Cuvier
93 558 MONTREUIL-SOUS-BOIS

თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ თქვენს მიერ არჩეული ადვოკატის სახელი, ადვოკატისა რომელიც დათანხმდა რომ თავისი წვლილი შეიტანოს იურიდიულ დახმარებაში, ან ითხოვოთ რომ ადვოკატი CNDA-მ დაგინიშნოთ. თუ იურიდიული დახმარებით სარგებლობთ, დანიშნულ ადვოკატს მომსახურების ხარჯები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაუხადოთ, თუნდაც მან ეს მოგთხოვოთ.

იურიდიულ დახმარებაზე შესაძლოა უარი გეთქვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი სარჩელი აშკარად მიუღებელია.

იურიდიული დახმარების მოთხოვნის განხილვის პროცესში, CNDA-ში სარჩელის შეტანის ვადა შეწყდება მხოლოდ მაშინ თუ სარჩელის წარდგენა 15 დღეში მოხდა. ვადის ათვლა გაგრძელდება როდესაც იურიდიული დახმარების ბიურო თქვენს მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას მოგცემთ. მაშასადამე, გასაჩივრებისთვის თქვენ გეძლევათ განახლებული ვადა, რომელიც შეადგენს ერთ თვეს გამოკლებული დღეების რაოდენობა რომლებმაც OFPRA-ს გადაწყვეტილებიდან იურიდიული დახმარების მოთხოვნამდე ჩაიარა.

მაგალითად, თუ OFPRA უარყოფით გადაწყვეტილებას გაცნობებთ 15 იანვარს, თქვენ ფლობთ 15 დღეს რათა ითხოვოთ სავარაუდო იურიდიული დახმარება. თუ ამ მოთხოვნას 20 იანვარს აგზავნით, ანუ OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის შემდეგ, იურიდიული დახმარების ბიუროს გადაწყვეტილებიდან თქვენ ფლობთ 26 დღეს რომ შეიტანოთ სარჩელი.

## ■ გასაჩივრება.

უნდა დაიცვათ შემდეგი პირობები:

- პირველ რიგში კარგად გაეცანით ახსნა-განმარტებებს რომელიც OFPRA-ს გადაწყვეტილების უკანა გვერდზე ფიგურირებს;
- სარჩელი რედაქტირებული უნდა იყოს ფრანგულ ენაზე თავისუფალ ფურცელზე (სპეციფიკური ფორმულარი არ არსებობს) რომელზედაც აღნიშნავთ თქვენს გვარს, სახელს, დაბადების თარიღს და ადგილს, მოქალაქეობას და მისამართს.
- სარჩელზე უნდა განათავსოთ თქვენი ხელმოწერა; თუ არასრულწლოვანი ხართ, ხელი უნდა მოაწეროს თქვენმა კანონიერმა წარმომადგენელმა;
- თქვენს სარჩელს აუცილებლად უნდა დაურთოთ OFPRA-ს გადაწყვეტილების ასლი;
- თუ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნა ექვემდებარება დაჩქარებულ პროცედურას, უნდა დაურთოთ თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციის დროს გადმოცემული საინფორმაციო დოკუმენტის ასლი (იხილეთ რუბრიკა « თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის კვალიფიკაცია » ნაწილში 2.2.1);
- უნდა ახსნათ, თუ რატომ არ ეთანხმებით OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილების მოტივებს, ან იმ მოტივებს რომლებმაც OFPRA-ს მიაღებინა მეორადი მფარველობით სარგებლობის გადაწყვეტილება და ლტოლვილად არ გაღიარათ;
- უნდა დაურთოთ თქვენი პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები;
- აგრეთვე უნდა დაურთოთ თქვენი მონათხრობის დამადასტურებელი საბუთები;
- თუ გსურთ გაასაჩივროთ გასაუბრების დროს გამოყენებული სასაუბრო ენა, უნდა აღნიშნოთ თქვენს სარჩელში და უნდა მიუთითოთ რომელ ენაზე გსურთ რომ ადგილი ჰქონდეს მოსმენას. თუ სასამართლო დადებითად პასუხობს თქვენს საჩივარს და არ შეუძლია თქვენთვის სასურველ ენაზე დანიშნოს თარჯიმანი, თქვენი მოსმენა იმ ენაზე მოხდება რომელიც მიჩნეულია რომ გესმით.
- უნდა შეინახოთ საჩივარის ასლი და მისი გაგზავნის მტკიცებულებები;
- მისამართის შეცვლასთან დაკავშირებით უნდა აცნობოთ CNDA-ს;
- თქვენს საქმესთან დაკავშირებული მასალების გადაგზავნა შეგიძლიათ ითხოვოთ სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ.

რაც შეეხება თქვენი მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, უმჯობესია დოსიეს დაურთოთ ასლები, ხოლო პასპორტის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ორიგინალები თქვენ დაიტოვოთ. ეს დოკუმენტები საშუალებას მოგცემთ ფოსტიდან გამოიტანოთ CNDA-დან დაზღვეული წესით გამოგზავნილი წერილი. ორიგინალების წარდგენას შეძლებთ სასამართლო მოსმენის დღეს, თუ იგი სასამართლო სხდომამ მოითხოვა.

რაც შეეხება თქვენს ამბავთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს, უმჯობესია საქმეს დაურთოთ ორიგინალები, ხოლო ასლები თქვენ დაიტოვოთ. თქვენი მოთხოვნის საფუძველზე ეს დოკუმენტები სასამართლო მოსმენის დღეს დაგიბრუნდებათ, ან მოგვიანებით, ფოსტით გამოგეგზავნებათ. თქვენი ამბავის დამადასტურებელი დოკუმენტები თარგმნილი უნდა იყოს ფრანგულ ენაზე. უთარგმნელი დოკუმენტები გამოყენებული არ იქნება. სავალდებულო არ არის რომ თარგმანი ნაფიცი თარჯიმნის მიერ იყოს შესრულებული, გარდა სამოქალაქო,

იურიდიული აქტების ამსახველი და აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებისა.

თუ ღია მოსმენაზე ხართ დაბარებული, გამოძახების წერილში მითითებული ვადების ფარგლებში შეგიძლიათ დამატებითი ინფორმაცია წერილობით წარადგინოთ.

## ■ საჩივრის მიღების დასტური.

თქვენი საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, თქვენგან მითითებულ მისამართზე CNDA გამოგიგზავნით დოკუმენტს სახელწოდებით « accusé de réception d'un recours ». ეს დოკუმენტი ადასტურებს რომ თქვენი საჩივარი დარეგისტრირდა.

გამონაკლისი შემთხვევების გარდა (იხილეთ ქვემოთ მოცემული რუბრიკა « გასაჩივრების შეჩერება »), ეს დოკუმენტი თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობის განახლების საშუალებას გაძლევთ, ვინაიდან საფრანგეთში ბინადრობა ნებადართული გაქვთ მანამ სანამ CNDA თქვენს მოთხოვნაზე გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

## ■ გასაჩივრების შემაჩერებელი ხასიათი.

**ზოგადად, თქვენ უფლება გაქვთ რომ OFPRA–ს უარყოფითი გადაწყვეტილება გაასაჩივროთ თავშესაფრის სამართლის ეროვნულ სასამართლოში და ამ გასაჩივრებას ავტომატურად შემაჩერებელი ძალა აქვს,** ანუ თქვენ აგრძელებთ საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით სარგებლობას გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე.

**სამაგიეროდ, თუ თავშესაფრის მოთხოვნაზე საბოლოო უარყოფითი პასუხის მიღებამდე დაკარგეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლება** (იხილეთ რუბრიკა « OFPRA–ს გადაწყვეტილების მიღებისთანავე ქვეყანაში ბინადრობის უფლების დასრული » ნაწილში 3.1), **თქვენ ინარჩუნებთ** OFPRA–ს უარყოფითი გადაწყვეტილების, ან საქმის მიუღებლობის გადაწყვეტილების **CNDA–ში გასაჩივრების უფლებას**, მაგრამ ამ გასაჩივრებას ავტომატურად შემაჩერებელი ძალა აღარ აქვს:

- ✓ **ან გასაჩივრება შემაჩერებელი არ არის** და ქვეყნიდან გაძევების ზომა შესაძლოა იქნას მიღებული და აღსრულებული, როდესაც დაექვემდებარეთ შემდეგ გადაწყვეტილებებს :

1. OFPRA-ს საქმის მიუღებლობის გადაწყვეტილება, რადგან უკვე სარგებლობთ სხვა სახელმწიფოს მფარველობით, და თუ ეს სახელმწიფო ევროკავშირის წევრი არ არის, შესაძლოა დაექვემდებაროთ რეადმისიას (იხილეთ ნაწილი 3.3);
2. OFPRA–ს საქმის დახურვის გადაწყვეტილება (იხილეთ ნაწილი 3.3);
3. OFPRA-ს საქმის მიუღებლობის გადაწყვეტილება ხელმეორედ განხილვის პირველ მოთხოვნაზე, რათა შეფერხდეს ქვეყნიდან გაძევების ზომა.

- ✓ **ან გასაჩივრება ავტომატურად შემაჩერებელი არ არის და შეგძლიათ მიმართოთ ადმინისტრაციულ ტრიბუნალს რომ CNDA–ში გასაჩივრების პერიოდში შეაჩეროს თქვენს მიმართ მიღებული ქვეყნიდან გაძევების ზომის აღსრულება,** მაშინ როცა ექვემდებარებით შემდეგ გადაწყვეტილებებს:

1. OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილება დაჩქარებული პროცედურით თავშესაფრის მოთხოვნაზე იმ მოტივით რომ უსაფრთხო ქვეყნის მოქალაქე ხართ ;
2. OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილება დაჩქარებული პროცედურით თავშესაფრის მოთხოვნაზე იმ მოტივით რომ თქვენი ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ;
3. OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილება ხელმეორედ მიღბულ თავშესაფრის მოთხოვნაზე ;

4. OFPRA-ს საქმის მიუღებლობის გადაწყვეტილება ხელმეორედ განხილვის მოთხოვნაზე რომლის წარდგენაც არ მოხდა რათა შეეფერხდეს ქვეყნიდან გაძევების ზომა ;
5. საქმის მიუღებლობის გადაწყვეტილება, ან უარყოფითი გადაწყვეტილება მაშინ როცა ადმინისტრაციის, ან ტრიბუნალის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარებით ქვეყნიდან გაძევების ზომას, ან ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის აკრძალვას, და რომ დაწესებული გაქვთ შინაპატიმრობა ან ხართ დაკავებული (იხილეთ რუბრიკა « ადმინისტრაციის, ან ტრიბუნალის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარებით ქვეყნიდან გაძევებას ან ტერიტორიის აკრძალვას? » ნაწილში 2.2.1).

შეგიძლიათ ითხოვოთ პროცესის ეს შეჩერება ან ქვეყნიდან გაძევების ზომის გასაჩივრების ფარგლებში, ან თუ გაძევების ზომა დაგიწესდათ თავშესაფარზე მოთხოვნის რეგისტრაციამდე და მისი გასაჩივრება აღარ არის შესაძლებელი შინაპატიმრობის ან სავარაუდო დაკავების შემთხვევიდან 48 საათის განმავლობაში.

## ■ CNDA-ში მოსმენა.

თქვენი საჩივრის განხილვის მიზნით, CNDA დაგიბარებთ სასამართლო მოსმენაზე. ამ გამოძახებას წერილობით, ფოსტით მიიღებთ მოსმენიდან სულ მცირე ერთი თვით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა როცა თქვენი საჩივარი დაჩქარებული პროცედურით განიხილება. ამ შემთხვევაში სასამართლო 15 დღით ადრე დაგიბარებთ.

თუმცა, თუ თქვენი საჩივარი არ შეიცავს იმ სერიოზულ ელემენტებს რომლებიც OFPRA-ს გადაწყვეტილებას ეჭვის ქვეშ დააყენებს, CNDA-ს შეუძლია მომხსენებლის მიერ განხილვის შემდეგ, სასამართლო მოსმენის გარეშე, უარყოფითად გიპასუხოთ.

თუ არადა, სასამართლო მოსმენას ადგილი აქვს :

- ან CNDA-ში რომელიც მონტრეიში ან იუსტიციის სასახლეში (სიტეს კუნძული);
- ან ვიდეო-აუდიენციით იუსტიციის სამინისტროს კუთვნილ შენობებში. კონფიდენციალურობა და ვიდეო-აუდიენციით გადაცემის ხარისხი გარანტირებულია.

✓ **სასამართლო სხდომა :**

CNDA-ს სასამართლო სხდომას რომელიც თქვენს საჩივარს განიხილავს, თავმჯდომარეობს მაგისტრატი მოსამართლე. სხდომის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ლტოლვილთა სფეროში გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისარიატისგან დანიშნული კვალიფიცირებული წარმომადგენელი. სასამართლო სხდომა თქვენს საჩივარზე გადაწყვეტილებას იღებს მომხსენებლის მოსმენის შემდეგ. მომხსენებელი გადაწყვეტილების შინაარსისგან დამოუკიდებლად აანალიზებს თქვენს თავშესაფრის მოთხოვნას თქვენი და თქვენი ადვოკატის ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

როდესაც ოფისმა საქმე დაჩქარებული პროცედურით განიხილა, ან როდესაც თქვენი მოთხოვნა მიუღებლად მიიჩნია, CNDA-ს ერთადერთი მოსამართლე იღებს თქვენს საჩივარზე გადაწყვეტილებას ხუთი კვირის ვადაში.

საკუთარი ინიციატივით, ან თქვენი მოთხოვნით, სასამართლომ შესაძლოა კოლეგიური წესითსაჩივრის განხილვის გადაწყვეტილება მიიღოს თუმიიჩნევს თქვენი საქმე არ ექვემდებარება დაჩქარებულპროცედურას, ან არუნდა იყოს მიუღებელი, ან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

✓ **თარჯიმნით მომსახურება :**

CNDA უზრუნველყოფს თარჯიმნით მომსახურებას ენაზე რომელიც თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციის დროს მიუთითეთ (იხილეთ რუბრიკა « სასაუბრო ენის არჩევანი OFPRA-ში ») ან იმ შემთხვევაში თუ ეს შეუძლებელია, თქვენთვის საკმარისად გასაგებ ენაზე. თუ გსურთ რომ გააპროტესტოთ OFPRA-ში თარჯიმნით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზი, ეს CNDA-ში გასაჩივრების დროს უნდა განახორციელოთ. იმ შემთხვევაში თუ თქვენი მოსმენა აუდიო ვიზუალური კომუნიკაციით მიმდინარეობს, თარჯიმანი თქვენს გვერდით იმყოფება დარბაზში, სადაც თქვენი მოსმენა ხდება. თუ თარჯიმანი ვერ მოიძებნა რომ ფიზიკურად თქვენს გვერდით იყოს, მოსმენას ადგილი ექნება მხოლოდ მაშინ როდესაც სასამართლო თარჯიმნის ხელმისაწვდომობას გადაამოწმებს დარბაზში სადაც თავად იმყოფება.

✓ **თქვენი წარდგენა სასამართლო მოსმენაზე:**

სასამართლო მოსმენაზე თქვენი წარდგენა ფრიად მნიშვნელოვანია და რეკომენდებული. გამოუცხადებლობის, ან დაგვიანების შემთხვევაში, წინასწარ აცნობეთ სასამართლოს. თუ დასწრება არ შეგიძლიათ, გამოუცხადებლობის მიზეზების ახსნა-განმარტების საფუძველზე შეგიძლიათ მისი გადატანა ითხოვოთ. სასამართლო მოსმენის გადატანა უფლებას არ წარმოადგენს. მხოლოდ CNDA-ს სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია განსაჯოს მოსმენის მოგვიანებით გადატანის შესაძლებლობა.

✓ **სასამართლო მოსმენის საჯაროობა:**

მოსმენა საჯაროა, თუმცა შეგიძლიათ სასამართლო სხდომის თავმჯომარესთან ითხოვოთ მისი დახურვა, ანუ საქმის განხილვა საზოგადოების თანდასწრებით რომ არ წარიმართოს. ამ შემთხვევაში სხდომის დახურვით ავტომატურად ისარგებლებთ. სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია აგრეთვე თვითონ მიიღოს ეს გადაწყვეტილება.

## ■ CNDA-ს გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების მიღებისთანავე, CNDA ამ გადაწყვეტილებას ფოსტით, დაზღვეული წერილით და მიღების დასტურით გიგზავნით.

გადაწყვეტილება ფრანგულ ენაზეა. მას ახლავს დოკუმენტი რომელიც გადაწყვეტილების შინაარსს თქვენთვის გასაგებ ენაზე გადმოგცემთ.

ამ გადაწყვეტილებაში CNDA-ს შეუძლია:

- გააუქმოს OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილება და ლტოლვილად გაღიაროთ, ან მეორადი მფარველობით სარგებლობა მოგანიჭოთ. მაშინ თქვენ იგივე უფლებებით ისარგებლებთ რა უფლებებითაც ისარგებლებდით OFPRA-ს მიერ მონიჭებული მფარველობის შემთხვევაში;
- გააუქმოს OFPRA-ს გადაწყვეტილება მეორადი მფარველობის შესახებ და მოგანიჭოთ ლტოლვილის სტატუსი;
- დაადასტუროს OFPRA-ს გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილოს თქვენი საჩივარი;
- ზოგიერთ შემთხვევაში, გააუქმოს OFPRA-ს გადაწყვეტილება და მოითხოვოს რომ OFPRA-მ თქვენი საქმე ხელახლა განიხილოს.

CNDA-ს გადაწყვეტილება გასაჩივრებას ექვემდებარება საკასაციო ინსტანციაში, სახელმწიფო საბჭოში (Conseil d’Etat). იგი თქვენი საქმის ერთობლიობას კი არ განიხილავს, არამედ ზოგიერთ იურიდიულ საკითხს. ეს ხანგრძლივი პროცედურაა და მოითხოვს სპეციალიზირებულ ადვოკატს. შესაძლებელია იურიდიული დახმარების მოთხოვნა. ეს გასაჩივრება თქვენს ქვეყანაში გაძევების პროცესს ხელს არ შეუშლის. სასურველია, რომ ამ პროცედურის შესახებ კონსულტაციისთვის ასოციაციას ან ადვოკატს მიმართოთ.

## ■ ბინადრობის უფლების დასრული CNDA-ს გადაწყვეტილების შემდეგ.

თქვენი ბინადრობის უფლება იზღუდება:

- CNDA-ს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, თუ იგი საჯარო მოსმენით იქნა მიღებული. ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილება გეცნობებათ;

- CNDA-ს გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ, თუ იგი სასამართლო მოსმენის გარეშე იქნა მიღებული.

ბინადრობის უფლების ამოწურვისთანავე, თქვენ უნდა დატოვოთ საფრანგეთი და შესაძლოა დაექვემდებაროთ საფრანგეთის ტერიტორიის დატოვების იძულებას (იხილეთ ნაწილი 5).

## 3.3. დახურული თავშესაფრის მოთხოვნის საქმის ხელახალი გახსნა.

თქვენი საქმის დახურვის შემთხვევაში (იხილეთ რუბრიკა « OFPRA-ს გადაწყვეტილება ნაწილში 3.1), მხოლოდ ერთხელ შეგიძლიათ ითხოვოთ მისი ხელახალი გახსნა დახურვიდან 9 თვის ვადაში. ამისათვის უნდა წარსდგეთ თავშესაფრის მაძიებელთა პირველადი მიღების სტრუქტურაში (SPADA-ში), შემდეგ კი თქვენი ხელმეორედ დარეგისტრირებისთვის, ერთიან მიმღებ პუნქტში (იხილეთ ნაწილი 2).

პრეფექტურაში ამ რეგისტრაციის შემდეგ გეძლევათ 8 დღე, რათა OFPRA-ში წარადგინოთ საქმის ხელახალი გახსნის მოთხოვნა. OFPRA ხელახლა გახსნის თქვენს საქმეს და შეწყვეტილი სტადიიდან განაახლებს მის განხილვას.

თუ ხელახალ გახსნას 9 თვის ვადაში მოითხოვთ, ხელახლა ისარგებლებთ საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით და თქვენზე გაიცემა მოწმობა თავშესაფრის მოთხოვნაზე.

9თვის ვადის თუ გადააცილეთ, ხელახალი გახსნის მოთხოვნა განიხილება როგორც ხელმეორედ შესწავლის მოთხოვნა (იხილეთ 3.4 «ხელმეორედ განხილვა »).

## 3.4. ხელმეორედ განხილვა.

CNDA-ში თქვენს მოთხოვნაზე უარყოფითი პასუხის მიღებისას, ან თუ გასაჩივრება განსაზღვრულ ვადაში, OFPRA-ს გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ თვეში, არ აწარმოეთ, შეგიძლიათ OFPRA-ს ხელმეორედ განხილვის მოთხოვნით მიმართოთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენს საქმეში « ახალი ელემენტი » გაჩნდა, ანუ:

- რაც CNDA-ს გადაწყვეტილების შემდეგ თარიღდება, ან მანამდე მაგრამ თქვენთვის შემდეგ გახდა ცნობილი ;
- და რომელიც თქვენი პიროვნული დევნის საშიშროების ან სერიოზული მუქარების რისკების საფრთხეს ადასტურებს, და მათ დაბრუნების შემთხვევაში ასახელებთ.

კონსულტაციისთვის, შეგიძლიათ მიმართოთ ასოციაციას ან ადვოკატს.

ხელმეორედ განხილვის მოთხოვნის წარსადგენად, უნდა მიმართოთ თავშესაფრის მაძიებელთა პირველადი მიღების სტრუქტურას (SPADA-ს), შემდეგ კი თქვენი ხელმეორედ დარეგისტრირებისთვის, ერთიან მიმღებ პუნქტს (იხილეთ ნაწილი 2).

პრეფექტურაში ამ რეგისტრაციის შემდეგ გეძლევათ 8 დღე, რათა OFPRA-ში წარადგინოთ ხელმეორედ განხილვის მოთხოვნა. თუ იგი სრულყოფილი არ არის, ოფისი მის შესავსებად 4 დღის ვადას გაძლევთ.

შემდეგ OFPRA, წინასწარი განხილვის საფუძველზე, თქვენი მოთხოვნის დასაშვებობის გადაწყვეტილებას მიიღებს 8 დღის ვადაში. ამ განხილვის დროს თქვენს გასაუბრებაზე დაბარების აუცილებლობა არ არსებობს.

ამ განხილვის შედეგად, OFPRA-მ შესაძლოა დაადგინოს თქვენი განაცხადის მიუღებლობა, თუ თქვენს მიერ წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები მნიშვნელოვნად ვერ ზრდის მფარველობაზე წვდომის ალბათობას.

თუ OFPRA თქვენს მოთხოვნას დასაშვებად მიიჩნევს, იგი სიღრმისეულად იქნება განხილული დაჩქარებული პროცედურით.

ხელმეორედ განხილვის მოთხოვნაზე მიუღებლობის გადაწყვეტილება, ან OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილება ექვემდებარება CNDA-ში გასაჩივრებას (იხილეთ ნაწილი 3.2).

**სარგებლობთ თუ არა ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით თქვენი მოთხოვნის ხელმეორედ განხილვის განმავლობაში?**

ხელმეორედ განხილვის პირველი მოთხოვნის შემთხვევაში (იხილეთ რუბრიკა « OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილების გაცემისთანავე ბინადრობის უფლების დასასრული » ნაწილში 3.1):

- თუ პრეფექტურა მიიჩნევს, რომ თქვენ განაცხადი შეიტანეთ მხოლოდ იმიტომ რომ შეფერხდეს ქვეყნიდან გაძევების ზომა, და რომ OFPRA-მ მისი მიუღებლობა დაადგინა, ამ გადაწყვეტილების გაცემისთანავე თქვენ ველარ ისარგებლებთ ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით და შესაძლოა დაექვემდებაროთ ქვეყნიდან გაძევების და აღსრულების ზომას;

- თუ OFPRA-მ თქვენს მოთხოვნაზე მიუღებლობის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ პრეფექტურა მიიჩნევს რომ განაცხადი არ შეიტანეთ მხოლოდ იმიტომ რომ შეფერხდეს ქვეყნიდან გაძევების ზომა, OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემისთანავე თქვენ ველარ ისარგებლებთ ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით და შესაძლოა დაექვემდებაროთ ქვეყნიდან გაძევების ზომას, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ითხოვოთ მისი აღსრულების შეჩერება ადმინისტრაციულ ტრიბუნალთან CNDA-ში გასაჩივრების დროის მანძილზე;

- თუ OFPRA-მ დასაშვებად ჩათვალა თქვენი ხელმეორედ განხილვის მოთხოვნა, მაგრამ საბოლოოდ იგი არ დააკმაყოფილა, OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემისთანავე თქვენ ველარ ისარგებლებთ ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით და შესაძლოა დაექვემდებაროთ ქვეყნიდან გაძევების ზომას, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ითხოვოთ მისი აღსრულების შეჩერება ადმინისტრაციულ ტრიბუნალთან CNDA-ში გასაჩივრების დროის მანძილზე.

ხელმეორედ განხილვის მეორედ მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენ ვერ სარგებლობთ ქვეყანაში ბინადრობის უფლებით. თქვენ შესაძლოა დაექვემდებაროთ ქვეყნიდან გაძევების და მისი აღსრულების ზომას OFPRA-ს გადაწყვეტილების მიღებამდე.

# 4. თავშესაფრის მაძიებლის მიღების მატერიალური პირობები და უფლებები

როგორც თავშესაფრის მაძიებელი, თქვენ სარგებლობთ მიღების მატერიალური პირობებით რომელშიც შედის:

- საცხოვრებელი, რომელიც განთავსებულია თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში (CADA-ში) ან დროებითი დაბინავების ცენტრში. ეს საცხოვრებელი გათვალისწინებულია თქვენთვის და თქვენი ოჯახის წევრებისთვის (ნაწილი 4.1);
- თავშესაფრის მაძიებელთათვის განკუთვნილი ფიული ფულადი დახმარება (ADA), რომლის ოდენობაც შეესაბამება ოჯახურ შემადგენლობას (ნაწილი 4.2).

თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციისას ერთიან მიმღებ პუნქტში, OFII გთავაზობთ მხარდაჭერას რომელიც განსაზღვრავს თქვენი მიღების მატერიალურ პირობებს (იხილეთ ნაწილი 2.2.2).

თქვენ აგრეთვე სარგებლობთ ადმინისტრაციული და სოციალური მოქმედებების განხორციელებაში მეგზურობით, რათა მართებულად წარმართოთ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის საქმე და რათა ხელმისაწვდომობა გქონდეთ მონიჭებულ სოციალურ უფლებებზე განათლების, ჯანდაცვის და შრომითი საქმიანობის კუთხით (ნაწილები 4.3-დან 4.5-მდე).

## 4.1. თავშესაფრის მაძიებლის საცხოვრებელი.

### ■ საცხოვრებელი ადგილები.

საცხოვრებელი ადგილები წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრებს (CADA) და თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი საცხოვრებლების ერთობლიობას (HUDA). საცხოვრებელი ადგილების დაფინანსებას და კოორდინირებას სახელმწიფო ახდენს. მათ უმეტესწილად ასოციაციები მართავენ.

თავშესაფრის მაძიებლებისთვის განკუთვნილია 100000-ზე მეტი საცხოვრებელი ადგილი რომლებიც განლაგებულია საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე ბინების, კოლექტიური ცენტრების და სასტუმროს ოთახების სახით. CADA-ში და HUDA-ში შესაძლოა ზოგიერთი სივრცის (სამზარეულოს, აბაზანის, ტუალეტის) სხვა პირებთან ან ოჯახებთან გაზიარება მოგიწიოთ

იმისათვის რომ საცხოვრებლით ისარგებლოთ, უნდა ფლობდეთ მოქმედ თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობის საბუთს.

CADA-ში და HUDA-ში თქვენ ისარგებლებთ ადმინისტრაციული და იურიდიული მეგზურობით (თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურაში და მეგზურობას ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში (წვდომა სოციალურ უფლებებზე, მკურნალობაზე, ბავშვების განათლება და ა.შ). თუ სასტუმროში ხართ დაბინავებული, შეგიძლიათ ისარგებლოთ თავშესაფრის მაძიებელთა პირველადი მიღების სტრუქტურის (SPADA-ს) მეგზურობით.

### ■ საცხოვრებელში განთავსება.

ერთიან მიმღებ პუნქტში სადაც თქვენი თავშესაფრის მოთხოვნა დარეგისტრირეთ, OFII გთავზობთ მიღების მატერიალურ პირობებს (CMA), რომელშიც შედის შემოთავაზება საცხოვრებელზე და თავშესაფრის მაძიებელთათვის განკუთვნილი ფინანსური დახმარება (ADA):

- **თუ ეს მხარდაჭერა უარყავით,** CMA-ს სარგებელს ვერ მიიღებთ.
- **თუ ამ მხარდაჭერას დათანხმდებით,** თქვენი პროცედურის სახეობის მიხედვით დეპარტამენტში, რეგიონში თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე,

OFII შემოგთავაზებთ საცხოვრებელ ადგილს მათი ხელმისაწვდომობის მიხედვით CADA-ში ან დროებით საცხოვრებელში (HUDA-ში).

საცხოვრებელი შესაძლოა შემოგთავაზონ იმ დეპარტამენტის, ან რეგიონის გარეთ სადაც თავშესაფრის მოთხოვნა დაარეგისტრირეთ. თუ ამ შემოთავაზებას არ დაეთანხმდებით, ADA-ს მიღება შეგიჩერდებათ და საცხოვრებელზე სხვა შემოთავაზება აღარ გექნებათ.

ადგილების არარსებობის შემთხვევაში, OFII გადაგამისამართებთ SPADA-ში, რომელიც თქვენთვის საცხოვრებელს მოიძიებს.

## ■ საცხოვრებელ ადგილზე განთავსება და მისი დატოვება.

**თუ თქვენი განთავსება მოხდა CADA-ში ან HUDA-ში,** იქ ბინადრობა შეგიძლიათ თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურის (OFPRA და CNDA) მანძილზე.

თუმცა, ზოგიერთ სიტუაციაში, იქ ბინადრობა მხოლოდ შეზღუდული დროით შეგიძლიათ OFPRA-ს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების დასრულებამდე (იხილეთ რუბრიკა « როდის დასრულდება მიღების მატერიალური პირობებით სარგებლობა? » 4.2).

**თუ თქვენ მიიღეთ ლტოლვილის ან მეორადი მფარველობის სტატუსი** (OFPRA-ს CNDA-ს საბოლოო დადებითი გადაწყვეტილება) უნდა დატოვოთ CADA ან HUDA სამ თვეში. ეს ვადა ერთხელ არის განახლებადი. თუ საცხოვრებელს განსაზღვრულ ვადაში არ გაათავისუფლებთ, შესაძლოა მოსამართლის გადაწყვეტილებით დაექვემდებაროთ საცხოვრებლიდან გამევების პროცედურას.

თუ უარი გეთქვათ თავშესაფრის მოთხოვნაზე (OFPRA-ს ან CNDA-ს საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება), თქვენ უნდა იმპერატიულად დატოვოთ CADA ან HUDA ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლების ამოწურვისას (იხილეთ რუბრიკა « ბინადრობის უფლების დასრული » ნაწილში 3.1 და 3.2), გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

**თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ საცხოვრებელში ისევ აგრძელებთ** ბინადრობას, შესაძლოა გამევების პროცედურას დაექვემდებაროთ. ამ პროცედურის ფარგლებში, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, დეპარტამენტის პრეფექტისგან, ან CADA-ს ან HUDA-ს მმართველი პირისგან წერილობით მიიღებთ დაკავებული ადგილის გათავისუფლების მოთხოვნას. იმ შემთხვევაში თუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებთ, დეპარტამენტის პრეფექტს, ან საცხოვრებლის მმართველს შეუძლია მიმართოს ადმინისტრაციულ მოსამართლეს რომ გიბრძანოთ ადგილის გათავისუფლება. თქვენს გამევებას, საჭიროების შემთხვევაში, პოლიცია ან ჟანდარმერია განახორციელებს.

# 4.2. თავშესაფრის მაძიებლის საარსებო შემწეობა (ADA).

თავშესაფრის მაძიებლის საარსებო შემწეობის (ADA-ს) მართვას უზრუნველყოფს OFII, ხოლო გადახდას, სერვისების და გადახდის სააგენტო.

ეს ფინანსური დახმარება გეძლევათ ბარათის საშუალებით, რომელსაც OFII გასცემს და სარგებლობთ როგორც თავშესაფრის მაძიებელი ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებით, ან სანამ მოხდებოდეს თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის საკითხზე პასუხისმგებელ სხვა ქვეყანაში გადაცემა.

## ■ სარგებლობის პირობები.

თავშესაფრის მაძიებლის საარსებო შემწეობით სარგებლობა რომ შეძლოთ, თქვენ უნდა :

1- ფლობდეთ მოწმობას თავშესაფრის მოთხოვნაზე;

2- იყოთ 18 წელს მიღწეული ;

3- თუ ხართ თავშესაფრის მაძიებელი, დათანხმდეთ ერთიან მიმღებ პუნქტში OFII-სგან შემოთავაზებულ მიღების მატერიალურ პირობებს.

**თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობის გარეშე, შემიძლია თუ არა მიღების მატერიალური პირობებით სარგებლობა ?**

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, აუცილებელია რომ ფლობდეთ თავშესაფრის მოთხოვნაზე მოქმედ მოწმობას, რათა ისარგებლოთ მიღების მატერიალური პირობებით.

თუმცა, მიღების მატერიალური პირობების სარგებელზე შესაძლოა უარი გეთქვათ თუ თავშესაფრის მოთხოვნაზე განაცხადი ხელმეორედ შეიტანეთ, ან თუ თავშესაფარზე მოთხოვნა დაგვიანებით, გაუმართლებელი მოტივით წარადგინეთ (იხილეთ რუბრიკა "თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის კვალიფიკაცია" ნაწილში 2.2.1) მაშინაც კი როცა თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობას ფლობთ.

გარდა ამისა, თავშესაფრის მაძიებლები რომელთაც ჩამოერთვათ თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა, ან დაჩქარებული პროცედურის სხვადასხვა მოტივების გამო (უსაფრთხო ქვეყნის მოქალაქეობა, საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ სერიოზული საფრთხე) იგი არ განუახლდათ OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილების შედეგად, ამ გადაწყვეტილების შემდეგ და CNDA-ში გასაჩივრების შემთხვევაში აგრძელებენ მიღების მატერიალური პირობებით სარგებლობას მანამ, სანამ მოსამართლე (ადმინისტრაციული ან თავშესაფრის მოსამართლე) მათ სიტუაციაზე გადაწყვეტილებას არ მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევებში საარსებო შემწეობა შესაძლოა ადაპტირდეს ან ჩანაცვლდეს მატერიალური დახმარებებით.

## ■ დახმარების მოთხოვნა.

თუ ხართ თავშესაფრის მაძიებელი, თავშესაფრის მაძიებლის საარსებო შემწეობით სარგებლობის უფლება გენიჭებათ თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ ერთიან მიმღებ პუნქტში იმ პირობით, თუ დათანხმდით OFII-სგან შემოთავაზებულ მხარდაჭერას.

ფინანსური დახმარების დარიცხვა დაიწყება მხოლოდ თავშესაფარზე განაცხადის შეტანის შემდეგ OFPRA-ში, თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის რეგისტრაციიდან მაქსიმუმ 21 დღის ვადაში.

## ■ საარსებო შემწეობის ოდენობა.

იმისათვის რომ თავშესაფრის მაძიებლის საარსებო შემწეობით ისარგებლოთ, უნდა დაადასტუროთ რომ თქვენი თვიური ფინანსური რესურსები აქტიური სოლიდარობის შემოსავალზე (RSA-ზე) ნაკლებია.

საარსებო შემწეობის რაოდენობა გამოთვლილია სკალის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს თქვენს ოჯახურ შემადგენლობას, რესურსებს და საცხოვრებელ პირობებს.

## ■ საარსებო შემწეობის დარიცხვა.

თავშესაფრის მაძიებლის საარსებო შემწეობის პირველი დარიცხვა OFPRA-ში თავშესაფარზე განაცხადის შეტანის შემდეგ ხდება. თუ თქვენი მობილურის ნომერი OFII-ს გადაეცით, ბარათის თანხით დატვირთვის შესახებ SMS-ით იქნებით ინფორმირებული.

საარსებო შემწეობა გერიცხებათ იმ თვის ბოლომდე რომელ თვეშიც საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლება გეწურებათ (იხილეთ რუბრიკები « ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლების დასასრული » ნაწილებში 3.1 და 3.2 ).

საარსებო შემწეობის დარიცხვა შეწყდება იმ თვის ბოლოს რომელიც მოსდევს თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებულ საბოლოო გადაწყვეტილების გაცემას.

## ■ გასაჩივრება.

თქვენ იმპერატიულად უნდა შეატყობინოთ OFII-ს ნებისმიერი ცვლილება თქვენს სიტუაციაში, ეს იქნება ბინადრობის უფლება, ოჯახური მდგომარეობა, თქვენი რესურსები თუ დასაქმება.

OFII-ს მიერ მიღებული ADA-სთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაპროტესტების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ OFII-ს რომ მიღებული გადაწყვეტილება გადაიხედოს. გასაჩივრების შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანოა ადმინისტრაციული ტრიბუნალი.

### როდის დასრულდება მიღების მატერიალური პირობებით სარგებლობა?

მიღების მატერიალური პირობებით სარგებლობა მთავრდება იმ თვის ბოლოს რომლის განმავლობაშიც დასრულდა თავშესაფრის მოთხოვნის ფარგლებში ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლება.

თავშესაფრის მაძიებლები, რომელთა დაჩქარებული პროცედურის სხვადასხვა მოტივების გამო (უსაფრთხო ქვეყნის მოქალაქეობა, საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ სერიოზული საფრთხე) ბინადრობის უფლება დასრულდა OFPRA-ს უარყოფითი გადაწყვეტილების შემდეგ, მიღების მატერიალური პირობებით სარგებლობენ მანამდე, სანამ ტრიბუნალი გაძევების ზომის აღსრულების შეჩერების მოთხოვნაზე უარყოფითად არ უპასუხებთ, ან CNDA არ მიიღებს გადაწყვეტილებას (იხილეთ ნაწილი 5.1).

თუ თქვენ მოგენიჭათ ლტოლვილის ან მეორადი მფარველობის სტატუსი, საარსებო შემწეობით სარგებლობა მთავრდება იმ თვის ბოლოს რომელიც მოსდევს გადაწყვეტილების გაცემას.

თუმცა, მიღების მატერიალური პირობები შესაძლოა შეწყდეს როდესაც:

- არალეგიტიმური მოტივით მიატოვეთ საცხოვრებელი ადგილი;
- არ დაიცავით შეხვედრაზე გამოცხადების ვალდებულება, არ მიაწოდეთ მოთხოვნილი ინფორმაცია ან არ გამოცხადდით თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებულ პერსონალურ გასაუბრებაზე ;
- OFII-მ გაგანაწილათ სხვა რეგიონის საცხოვრებელში ან SPADA-ში, მაგრამ თქვენ იქ არ გამოცხადდით, როგორც ითხოვენ, ხუთი დღის ვადაში;
- OFII-მ გაგანაწილათ სხვა რეგიონში და თქვენ იგი OFII-ს ნებართვის გარეშე დატოვეთ;
- დამალეთ თქვენი ფინანსური რესურსები;
- მიაწოდეთ ყალბი ინფორმაცია თქვენი ოჯახური მდგომარეობის შესახებ;
- სხვადასხვა სახელით და გვარით წარადგინეთ რამდენიმე მოთხოვნა თვშესაფარზე;
- იქონიეთ ძალადობრივი ქმედება, ან უხეშად დაარღვიეთ საცხოვრებელში არსებული შინაგანაწესი.

გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნება მიღებული, როდესაც საშუალება მოგეცემათ რომ OFII-ს წერილობით წარუდგინოთ თქვენი კომენტარები. ფინანსური რესურსების დამალვის, ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ყალბი

ინფორმაციის მიწოდების და სხვადასხვა სახელზე და გვარზე წარდგენილი მოთხოვნების შემთხვევაში შესაძლოა რომ გაუმართლებლად დარიცხული თანხის ანაზღაურება მოგიწიოთ.

## 4.3. ხელმისაწვდომობა განათლებაზე.

თავშესაფრის მაძიებელთა შვილებისთვის განათლების სისტემაზე ხელმისაწვდომობა საფრანგეთის მოქალაქეების განათლებაზე ხელმისაწვდომობის იდენტურია.

საგანმანათლებლო კოდექსის შესაბამისად (მუხლი L.111-2) « ყველა ბავშვს აქვს სასკოლო განათლების მიღების უფლება, რაც ოჯახის ჩართულობის პარალელურად, ხელს უწყობს მათ აღზრდას ». შეგახსენებთ, რომ « განათლება სავალდებულოა ორივე სქესის, ფრანგი თუ უცხოელი ბავშვებისთვის, 6-დან 16 წლამდე » (ზემოთ ხსენებული კოდექსის მუხლი L.131-1).

სკოლის დაწყებით კლასებში ჩაწერა მერიაში ხდება. უნდა წარადგინოთ ბავშვის დაბადების მოწმობა, ადმინისტრაციული მისამართის მოწმობა და ბავშვის ვაქცინაციის წიგნაკი.

საშუალო განათლების დაწესებულებაში (კოლეჯი ან ლიცეუმი) ჩაწერა უშუალოდ თქვენს საცხოვრებელთან ახლომდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხდება.

ამ მოქმედებების განხორციელებაში დაგეხმარებათ სტრუქტურა რომელიც გიწევთ ადმინისტრაციულ, იურიდიულ და სოციალურ მეგზურობას, რომელიც უზრუნველყოფს თქვენს საცხოვრებელს (იხილეთ საკითხი 2.1) ან OFII-სთან შეთანხმებული პირველადი მიღების სტრუქტურა (SPADA).

## 4.4. ხელმისაწვდომობა მკურნალობაზე.

### ■ სად შეიძლება მკურნალობა?

- **მედიცინის მუშაკთან (საავადმყოფოს ფარგლებს გარეთ)**

ჯანმრთელობის ნებისმიერ პრობლემაზე შეგიძლიათ მიმართოთ ზოგადი პრაქტიკის ექიმს, « généraliste-ს » რომელიც გაგსინჯავთ და თქვენთვის საჭირო მედიკამენტებს გამოგიწერთ. თუ გესაჭიროებათ გამოკვლევები და დამატებითი მკურნალობა, იგი მიმართვას მოგცემთ სპეციალისტთან ან მედიცინის დამხმარე მუშაკთან (ექთანი, მასაჟისტი…).

- **აფთიაქში :** რათა შეიძინოთ მედიკამენტები ან ითხოვოთ რჩევა.

- **საავადმყოფოში :** სასწრაფო, გადაუდებელ შემთხვევაში, ან წინასწარ დანიშნული შეხვედრის საფუძველზე ზოგიერთი გამოკვლევისთვის ან სპეციალისტთან კონსულტაციისთვის.

**ეს მკურნალობები ფასიანია, მაგრამ მათი დაფარვა შეაძლებელია ჯანმრთელობის დაზღვევით** (იხილეთ შემდეგი პარაგრაფი).

**სანამ ჯანმრთელობის დაზღვევას მიიღებდეთ, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა შეგიძლიათ შემდეგ სტრუქტურებში :**

- ყველა სახის მკურნალობისთვის :
  - შეგიძლიათ მიმართოთ მკურნალობაზე წვდომის სამორიგეოს (PASS) რომელიც ზოგადად განთავსებულია საავადმყოფოში. იქ ექიმები საჭირო დახმარებას აღმოგიჩენენ და მედიკამენტებს უფასოდ მიიღებთ.

  - ზოგიერთი სპეციალიზირებული ასოციაცია (მსოფლიოს ექიმები, კომედი...) სთავაზობს უფასო კონსულტაციებს ზოგადი პრაქტიკის ექიმთან, სტომატოლოგთან ან სპეციალისტებთან (გინეკოლოგთან, ოფთალმოლოგთან, ფსიქოლოგთან და ა.შ.).
- სპეციფიკური პრობლემატიკისთვის :
  - ორსულების მეთვალყურეობისთვის, 6 წლამდე ასაკის ბავშვების აცრებისთვის მიმართეთ PMI-ს (დედათა და ბავშვთა დაცვის ცენტრი)
  - ტუბერკულოზის გამოსავლენად : CLAT-ს (ტუბერკულოზთან ბრძოლის ცენტრი)
  - აივ ინფექციის, ჰეპატიტების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გამოსავლენად: სკრინინგისა და დიაგნოსტიკის უფასო ცენტრი (CeGIDD)
  - კონტრაცეპტიული საშუალებების მისაღებად : ოჯახური დაგეგმარების ცენტრში (CPEF)
  - დამოკიდებულებების მოსახსნელად : ადიქტოლოგიაში პრევენციის და მეგზურობის სამკურნალო ცენტრი (CSAPA)

**იკითხეთ თქვენს პირველადი მიღების სტრუქტურაში, საცხოვრებელ ცენტრში ან ადგილობრივ საავადმყოფოში, თუ სად შეგიძლიათ ამ დაწესებულებების პოვნა, ან გაეცანით საიტს:** http ://annuairesante.ameli.fr

**სასწრაფო სამედიცინო შემთხვევისას,** დარეკეთ ნომერზე 15 ან 112, ან დარეკვა თუ არ შეგიძლიათ, მიმართეთ უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო განყოფილებას.

## ■ როგორ მოიპოვოთ მკურნალობის დაფინანსება?

**საფრანგეთში მკურნალობა ფასიანია, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ სამედიცინო დაზღვევით, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.**

საქმე ეხება უნივერსალურ სამედიცინო დაზღვევას (PUMa) და შემავსებელ სოლიდარულ სამედიცინო დაზღვევას (CSS). ამ უკანასკნელს მინიჭება რესურსების მიხედვით ხდება.

ეს მექანიზმები ფარავენ ყველა ბანალური მკურნალობის ხარჯებს, მათ შორის სათვალეს, კბილის პროთეზებს და ა.შ. ამასთანავე, შემავსებელი სოლიდარული სამედიცინო დაზღვევა საშუალებას გაძლევთ თანხის წინასწარი გადახდის გარეშე ჩაიტაროთ მკურნალობა და ისარგებლოთ სატრანსპორტო ხარჯებზე ფასდაკლებით. იგი შეგიძლიათ ითხოვოთ თქვენი საცხოვრებელი დეპარტამენტის სამედიცინო დაზღვევის ფონდში (CPAM):

- **თავშესაფარზე მოთხოვნის რეგისტრაციისთანავე თქვენი არასრულწლოვანი შვილებისთვის:** საკმარისია რომ შეავსოთ ფორმა « Demande d'ouverture des droits à l'assurance maladie » და « Demande de Complémentaire sqnté solidaire » და დაურთოთ თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა რომელზედაც ისინი ფიგურირებენ;
- **საფრანგეთში სამი თვის ბინადრობის შემდეგ თქვენთვის (ან თქვენი მეუღლისთვის):** თქვენ უნდა ხელმეორედ შეავსოთ ეს ფორმულარები და უნდა დაურთოთ თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა, საფრანგეთში სამ თვეზე მეტი დროით ბინადრობის დამადასტურებელი საბუთი, როგორიც არის მაგალითად:

  საცხოვრებელი ცენტრის მიერ გაცემული სამი თვით ბინადრობის ამსახველი ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; სამ თვეზე მეტი დროით დათარიღებული ადმინისტრაციული მისამართის მოწმობა; სამ თვეზე მეტი დროით დათარიღებული თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა; სამ თვეზე მეტი დროით დათარიღებული თავშესაფრის მაძიებელთა პირველადი მიღების სტრუქტურის (SPADA) მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი; კერძო პირთან ბინადრობის შემთხვევაში, ამ პირის მიერ შედგენილი მოწმობა ბინადრობის საწყისი თარიღით და საცხოვრებლის

დამადასტურებელი დოკუმენტაციით (ქირის გადახდის ქვითარი, ენერგიებით სარგებლობის მაჩვენებელი ქვითარი...) რომელიც მის სახელზეა გაწერილი და ბოლო სამი თვით დათარიღებული და ა.შ.

თუ თქვენ ან თქვენს შვილებს სასწრაფო მკურნალობა გესაჭიროებათ, შეგიძლიათ დაურთოთ თქვენი სასწრაფო მკურნალობის შესახებ ცნობა, რათა დააჩქარონ თქვენი დოსიეს შესწავლა და რომ უფრო სწრაფად ისარგებლოთ სამედიცინო დაზღვევით.

ამ საქმეში შეგიძლიათ დაიხმაროთ პირველადი მიღების სტრუქტურა (SPADA), თქვენი საცხოვრებელი ცენტრი (CADA, HUDA...) ან კიდევ საავადმყოფოს სოციალური სამსახური.

**თქვენი დაზღვევის მოქმედების ვადა დაიწყება იმ თარიღიდან როდესაც თქვენი დოსიე CPAM-ს ჩააბარეთ. ასე რომ მნიშვნელოვანია მოთხოვნა არ დააყოვნოთ თქვენს შვილებზე (თავშესაფარზე მოთხოვნის რეგისტრაციისთანავე) და როგორც კი შეძლებთ საფრანგეთში 3 თვით ბინადრობის დადასტურებას თქვენზე ან მეუღლეზე.**

თქვენ მიიღებთ სადაზღვევო მოწმობას რომელიც მკურნალობისთვის უნდა წარადგინოთ ექიმთან, საავადმყოფოში ან აფთიაქში. მოწმობას გამოგიგზავნით სადაზღვევო ფონდი იმ მისამართზე რომელიც ფორმულარზე მიუთითეთ: ფორმულარზე უნდა მიუთითოთ თქვენი ადმინისტრაციული მისამართი.

დაზღვეული იქნებით თავშესაფრის მოთხოვნის მთელი პროცედურის მანძილზე და შემდგომ თუ გახდით საერთაშორისო დაცვის სტატუსით მოსარგებლე.

რადგან შემავსებელი სოლიდარული დაზღვევა 1 წელი მოქმედებს, მისი სარგებლობისთვის მოთხოვნა ყოველწლიურად უნდა განაახლოთ მოწმობაზე აღნიშნული ვადის ამოწურვამდე 2-4 თვით ადრე.

სანამ თქვენი უფლებებით შეძლებდეთ სარგებლობას, ხარჯების გარეშე ბაზალური მკურნალობის მიღება შეგიძლიათ უფასო სტრუქტურებში რომლებიც მოხსენიებულია წინა ნაწილში « სად შეიძლება მკურნალობა? ».

**თქვენი «გადაუდებელი მკურნალობები» აგრეთვე დაფინანსდება საავადმყოფოში.** საქმე ეხება ისეთ მკურნალობას რომლის გადავადებაც არ შეიძლება, როგორიც არის მაგალითად: მკურნალობა მძიმე დაზიანებებზე, მოტეხილობა, დამწვრობა, მძიმე ან გადამდები დაავადება, ნებისმიერი მკურნალობა მცირეწლოვნებისთვის და ორსულებისთვის (მაგალითად პრევენციული გამოკვლევები ორსულობის პერიოდში და შემდეგ, მშობიარობა, ორსულობის შეწყვეტა...). **საავადმყოფოში მისვლისთანავე უნდა წარმოადგინოთ თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა, რათა უფასო მომსახურებით ისარგებლოთ.**

---

<u>დაიმახსოვრეთ:</u>

**სამედიცინო დაზღვევაზე მოთხოვნას აკეთებთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის CPAM-ში თავშესაფარზე განაცხადის რეგისტრაციისთანავე თქვენი არასრულწლოვანი შვილებისთვის და თქვენთვის (ან თქვენი მეუღლისთვის) საფრანგეთში სამ თვიანი ბინადრობის შემდეგ.**

**სამედიცინო დაზღვევით სარგებლობამდე, უფასოდ მკურნალობა შეგიძლიათ ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებაში, ან საავადმყოფოში გადაუდებელი მკურნალობის შემთხვევაში : თქვენ წარადგენთ თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობას.**

**აცნობეთ CPAM-ს თქვენი სიტუაციის ნებისმიერი ცვლილება:** გაუგზავნეთ თავშესაფრის მოთხოვნის განახლებული მოწმობის ასლი, ახალი ადმინისტრაციული მისამართის მოწმობა, ბინადრობის დროებითი საბუთი, თუ მოიპოვეთ საერთაშორისო მფარველობით სარგებლობა.

---

## 4.5. შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობა.

როგორც თავშესაფრის მაძიებელს, შეგიძლიათ მიიღოთ მუშაობის ნებართვა როდესაც თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, თქვენი განაცხადის შეტანიდან ექვსი თვის ვადაში, OFPRA-მ გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

ამ შემთხვევაში, თქვენი მომავალი დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე მუშაობის ნებართვის თხოვნით უნდა მიმართოთ თქვენს დეპარტამენტში არსებულ ბიზნესის, კონკურენციის, შრომისა და დასაქმების რეგიონალური დირექტორატის (DIRECCTE) მუშახელის სამსახურს (SMOE).

მუშაობის უფლების მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს პრეფექტი/DIRECCTE/SMOE, რომელსაც განსახილველად განცხადების მიღებიდან ორი თვის ვადა აქვს. თუ ამ ვადაში პასუხი არ მიიღეთ, ნებართვა მონიჭებულად ითვლება და ეცნობება თქვენს მომავალ დამსაქმებელს, ისევე როგორც თქვენ და ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის ხანგრძლივობას დაექვემდებარება.

თანხმობის შემთხვევაში, პრეფექტი მუშაობის ნებართვას გასცემს 3 თვეზე მეტი ვადით სამუშაო კონტრაქტებზე, ან OFII-ში სეზონურ სამუშაო კონტრაქტებზე.

თუმცა, ამ ნებართვაზე შესაძლოა უარი მიიღოთ რეგიონში დასაქმების სიტუაციის ან სამუშაო სფეროს გათვალისწინებით. გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ისეთი სახის სამუშაოს ითხოვთ, რომელიც შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტური პროფესიების სიაში ფიგურირებს.

თუ გაგაჩნიათ მუშაობის დროებითი ნებართვა, თქვენგან დამოუკიდებელი მოტივით სამუშაო კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, ან თქვენი დროებითი კონტრაქტის დასასრულს, შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ დასაქმების ეროვნულ ბიუროში როგორც სამსახურის მაძიებელი.

თუ ხართ არასრულწლოვანი თანმხლები პირის გარეშე და სარგებლობთ მუშაობის ნებართვით სწავლების ან დახელოვნების დროებითი ხელშეკრულების ფარგლებში, შეგიძლიათ კონტრაქტის გაგრძელება, თუ თავშესაფარზე განაცხადი შეგაქვთ 2019 წლის 1 მარტიდან.

და ბოლოს, თუ მოხვდით შრომის ბაზარზე, შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებში შეგიძლიათ პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობით ისარგებლოთ.

# 5. თავშესაფრის მოთხოვნაზე უარის შედეგები ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებასთან მიმართებაში

## 5.1. OFPRA-ს ან CNDA-ს უარყოფითი გადაწყვეტილება.

### ■ OFPRA-ს გადაწყვეტილების გაცემისთანავე ბინადრობის უფლების შეწყვეტა.

✓ **CNDA-ში გასაჩივრებას შემაჩერებელი ძალა არ გააჩნია:**

როგორც მითითებულია ნაწილში 3.1, ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლება წყდება როდესაც OFPRA იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

1. მიუღებლობის გადაწყვეტილება, რადგან უკვე სარგებლობთ ამ მფარველობით სხვა სახელმწიფოში, და თუ ეს სახელმწიფო ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ არის, შესაძლოა იქ რეადმისიას დაექვემდებაროთ (იხილეთ ნაწილი 3.3);
2. საქმის დახურვის გადაწყვეტილება (იხილეთ ნაწილი 3.3);

3. მიუღებლობის გადაწყვეტილება, როდესაც საქმე ეხება ხელმეორედ განხილვაზე პირველ მოთხოვნას და მაშინ როცა ქვეყნიდან გაძევების ზომას ექვემდებარებით.

ამ შემთხვევებში, თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა შესაძლოა ჩამოგართვან ან არ განგიახლონ და დაექვემდებაროთ საფრანგეთის ტერიტორიის დატოვების ვალდებულებას. CNDA-ში გასაჩივრება შემაჩერებელი არ არის და გაძევების ზომა შესაძლოა ნებისმიერ მომენტში აღსრულდეს.

თუ OFPRA-ს აცნობეთ თქვენი განაცხადის გამოტანის შესახებ, თქვენ აგრეთვე კარგავთ ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებას და CNDA-ში გასაჩივრება შემაჩერებელი არ არის.

✓ **CNDA-ში გასაჩივრება ავტომატურად შემაჩერებელი არ არის:**

ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლება აგრეთვე წყდება როდესაც დაექვემდებარეთ OFPRA-ს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

1. მიუღებლობის გადაწყვეტილება, როდესაც საქმე ეხება ხელმეორედ განხილვაზე პირველ მოთხოვნას და მაშინ როცა ქვეყნიდან გაძევების ზომას არ ექვემდებარებით ;
2. უარყოფითი გადაწყვეტილება განსახილველად დაშვებულ ხელმეორედ განხილვის მოთხოვნაზე ;
3. უარყოფითი გადაწყვეტილება უსაფრთხო ქვეყნის მოქალაქის მოტივით დაჩქარებულ პროცედურას დაქვემდებარებულ თავშესაფრის მოთხოვნაზე ;
4. უარყოფითი გადაწყვეტილება დაჩქარებულ პროცედურას დაქვემდებარებულ თავშესაფრის მოთხოვნაზე იმ მოტივით რომ თქვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ სერიოზულ საფრთხეს;
5. საქმის მიუღებლობის გადაწყვეტილება, ან უარყოფითი გადაწყვეტილება მაშინ როცა ადმინისტრაციის, ან ტრიბუნალის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარებით ქვეყნიდან გაძევების ზომას, ან ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის აკრძალვას, და რომ დაწესებული გაქვთ შინაპატიმრობა, ან ხართ დაკავებული (იხილეთ რუბრიკა « ადმინისტრაციის, ან ტრიბუნალის გადაწყვეტილების საფუძველზე ექვემდებარებით ქვეყნიდან გაძევებას ან ტერიტორიის აკრძალვას? » ნაწილში 2.2.1).

1-დან მე-4 შემთხვევებში თავშესაფრის მოთხოვნაზე მოწმობა შესაძლოა ჩამოგართვან ან ველარ განაახლოთ და თქვენს მიმართ მიიღონ საფრანგეთის ტერიტორიის დატოვების ვალდებულების გადაწყვეტილება.

როგორც კი საფრანგეთის ტერიტორიის დატოვების ვალდებულების გადაწყვეტილებას დაექვემდებარებით, შესაძლოა დაგიწესდეთ შინაპატიმრობა თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის სწრაფი და ეფექტური წარმოებისთვის, ან დაგიწესდეთ დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსება, როდესაც აუცილებლობა მოითხოვს რომ გაირკვეს დეტალები რასაც ეფუძნება თქვენი მოთხოვნა, ან როდესაც ამას ქვეყნის ან საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოება მოითხოვს.

თუ გასაჩივრება ავტომატურად შემაკავებელი არ არის, შეგიძლიათ მიმართოთ ადმინისტრაციულ ტრიბუნალს ქვეყნის დატოვების ვალდებულების გასაჩივრების ფარგლებში, ქვეყნიდან გაძევების ზომის აღსრულების შეჩერების მოთხოვნით CNDA-ში OFPRA-ს გადაწყვეტილების გასაჩივრების მანძილზე, თუ განაცხადი შეტანილი გაქვთ სასამართლოში, გადაწყვეტილების მიღებამდე.

თავშესაფრის მოთხოვნაზე უარყოფითი გადაწყვეტილების შედეგად მიღებული ქვეყნის დატოვების ვალდებულების გადაწყვეტილება (OQTF) გასაჩივრებას ექვემდებარება ადმინისტრაციულ ტრიბუნალზე მისი გაცემიდან 15 დღის ვადაში. მოსამართლე გადაწყვეტილებას ათი კვირის ვადაში ღებულობს. გასაჩივრების

ვადა შემცირებულია 48 სთ-მდე შინაპატიმრობის ან დაკავების შემთხვევაში და მოსამართლე ამ დროს გადაწყვეტილებას იღებს 72 სთ-ის ვადაში.

ქვეყნის დატოვების ვალდებულების გადაწყვეტილების გასაჩივრება შემაჩერებელია : თქვენს გაძევებას ადგილი არ ექნება იმ დროის მანძილზე რაც გასაჩივრებისთვის მოგეცათ და სანამ ადმინისტრაციული ტრიბუნალი არ მიიღებს გადაწყვეტილებას.

თუ თქვენ OQTF-ს ექვემდებარებოდით თავშესაფარზე განაცხადის შეტანამდე და OQTF-ის გასაჩივრების ვადა ამოწურულია, შეგიძლიათ შინაპატიმრობის დაწესებიდან ან დაკავებიდან 48 საათის ვადაში უშუალოდ მიმართოთ ადმინისტრაციულ ტრიბუნალს OQTF-ის აღსრულების შეჩერების მოთხოვნით. ეს მოთხოვნა თქვენი გაძევების პროცესის შემაჩერებელია.

თუ OQTF-ს არ ასაჩივრებთ, ან იგი არ გაასაჩივრეთ, თუ არ მოითხოვეთ ქვეყნიდან გაძევების ზომის აღსრულების შეჩერება, გასაჩივრების და შეჩერების მოთხოვნის ვადების ამოწურვისთანავე შესაძლოა მოხდეს თქვენი ქვეყნიდან გაძევება. გარდა ამისა, შეწყდება მიღების მატერიალური პირობებით სარგებლობაც იმ თვის დასასრულს, რომლის განმავლობაშიც გასაჩივრების ვადა ამოიწურა.

მე-5 შემთხვევაში, OFPRA-ს გადაწყვეტილების მიღებიდან 48 საათში, სანამ CNDA თქვენი გასაჩივრების საქმეს განიხილავს, შეგძლიათ რომ ქვეყნიდან გაძევების ზომის აღსრულების შეჩერების მოთხოვნით მიმართოთ ადმინისტრაციულ მოსამართლეს (იხილეთ რუბრიკა « ტრიბუნალის ან ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით თქვენ ექვემდებარებით ქვეყნიდან გაძევების, ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის აკრძალვის ზომას? » ნაწილში 2.2.1).

---

**რა მოჰყვება ქვეყნიდან გაძევების ზომის აღსრულების შეჩერების მოთხოვნას?**

ადმინისტრაციული ტრიბუნალი თქვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებს თუ თქვენ სერიოზული არგუმენტებით ადასტურებთ ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის საჭიროებას CNDA-ში საქმის განხილვის პერიოდში.

ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ დარჩეთ ქვეყნის ტერიტორიაზე CNDA-ში გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე და მანამდე, სანამ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას. აღნიშნულ სიტუაციაში, ადმინისტრაციული ტრიბუნალის გადაწყვეტილება აუქმებს თქვენზე დაწესებულ შინაპატიმრობას ან დაკავებას, გარდა იმ შემთხვევისა როცა საქმე ეხება საზოგადოებრივ წესრიგს. მიღების მატერიალური პირობებით სარგებლობა წყდება იმ თვის დასასრულს, რომლის განმავლობაშიც CNDA-ში გასაჩივრების ვადა ამოიწურა და თუ სასამართლოში განაცხადი იქნა შეტანილი, შეწყდება იმ თვის დასასრულს რომლის განმავლობაშიც საქმის წარმოება დამთავრდა.

თუ ტრიბუნალი ქვეყნიდან გაძევების ზომის აღსრულების შეჩერების მოთხოვნას არ აკმაყოფილებს, ქვეყნიდან გაძევების ზომა შესაძლოა აღსრულდეს და მიღების მატერიალური პირობებით სარგებლობა წყდება იმ თვის დასასრულს რომელშიც ტრიბუნალის გადაწყვეტილება გაიცა.

თუ OQTF-ს ახლავს ნებაყოფლობით გამგზავრების ვადა, მისი ათვლა იწყება ადმინისტრაციული ტრიბუნალის, ანდა CNDA-ს უარყოფითი გადაწყვეტილების გაცემის თარიღიდან.

---

- **ბინადრობის უფლების შეწყვეტა CNDA-ს გადაწყვეტილების გამოცხადების ან გაცემისთანავე.**

სხვა დანარჩენ შემთხვევებში საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლება მთავრდება როდესაც თქვენს თავშესაფრის მოთხოვნაზე უარყოფითი პასუხი საბოლოოა :

- ან OFPRA-ს გადაწყვეტილების სასაჩივრო ვადის დასრულების (ერთი თვე) თუ CNDA-ში გასაჩივრების მოთხოვნა არ შეიტანეთ;
- ან ერთი თვის ვადაში CNDA-ში თუ აწარმოეთ გასაჩივრება, სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების დღეს საჯარო მოსმენის შემთხვევაში, ან მისი გაცემის დღეს, თუ სასამართლომ მოსმენის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება.

ამ შემთხვევაში საფრანგეთი უნდა დატოვოთ და შესაძლოა დაექვემდებაროთ ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევების ვალდებულებას.

**სახელმწიფო საბჭოში საკასაციო საქმის გადაცემა იძლევა თუ არა ბინადრობის უფლებას?**

თქვენ შესაძლებლობა გაქვთ რომ CNDA-ს გადაწყვეტილება განსახილველად გადასცეთ საკასაციო ორგანოს, სახელმწიფო საბჭოს. გასაჩივრების ვადა ორი თვეა. მისი ათვლა სასამართლოს გადაწყვეტილების გაცემიდან იწყება.

სახელმწიფო საბჭო საქმის მასალების ერთობლიობას ხელმეორედ არ განიხილავს. იგი ამოწმებს პროცედურული წესების დაცვას, ჰქონდა თუ არა ადგილი ფაქტების არასწორ წარმოდგენას და თავშესაფრის მოსამართლისგან კანონის სწორედ გამოყენებას.

თუმცა საკასაციოში განხილვა ბინადრობის უფლებას არ გაძლევთ და შესაძლოა თქვენი გაძევება სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებამდე მოხდეს.

## 5.2. სამშობლოში დაბრუნებაში დახმარება.

პრეფექტურა გაცნობებთ საფრანგეთის ტერიტორიის დატოვების ვალდებულებას (OQTF) რომელსაც შესაძლოა ახლდეს, თუ პირობებს აკმაყოფილებთ, გამგზავრების ვადა რომელიც ზოგადად 30 დღეს მოიცავს.
ამ ვადის ფარგლებში შეგიძლიათ ითხოვოთ სამშობლოში დაბრუნებისთვის განკუთვნილი დახმარებით სარგებლობა. ამისათვის უნდა დაუკავშირდეთ იმიგრაციისა და ინტეგრაციის ფრანგულ ოფისს (OFII-ს).

### ✓ სამშობლოში დაბრუნებისთვის განკუთვნილი დახმარება

ამ დახმარების მიზანია გაუადვილოს საფრანგეთში არაკანონიერად მცხოვრებ უცხოელებს ნებაყოფლობითი დაბრუნება სამშობლოში. დახმარების მისაღებად განაცხადის შეტანა შესაძლებელია ქვეყნის დატოვების ვალდებულების გაცემისთანავე. ქვეყნიდან ნებაყოფლობითი წასვლის ვადა შეიძლება გამოყენებული იქნას ამ დახმარების მოთხოვნისთვის.

სამშობლოში ღირსეულად დაბრუნების ხელშესაწყობად, OFII უზრუნველყოფს შემდეგ დახმარებებს:

- **ადმინისტრაციული და მატერიალური დახმარება გამგზავრების სამზადისისთვის** რაც ითვალისწინებს მოსარგებლის და მისი ოჯახის გამგზავრების მატერიალურ ორგანიზაციას:

  -საჰაერო ტრანსპორტის ბილეთების დაჯავშნა ;

  -სამგზავრო საბუთების მოპოვებაში დახმარება ;

  -საფრანგეთში საცხოვრებელი ადგილიდან აეროპორტამდე ტრანსპორტირება;

  -აეროპორტში გამგზავრების პროცედურაში დახმარება.
- **ტრანსპორტის ხარჯების უზრუნველყოფა** საფრანგეთიდან დასაბრუნებელ ქვეყნამდე ბარგის ტრანსპორტირების ჩათვლით ;
- **ფულადი დახმარება** რომელიც გამგზავრების წინ ერთჯერადად გადაეცემა უცხოელ მოსარგებლეს.

### ✓ რეინტეგრაციის დამხმარე მექანიზმი

ზემოთ აღნიშნულ დახმარებებთან ერთად, ან მათგან დამოუკიდებლად, სამშობლოში დაბრუნებულ უცხოელებს შესაძლოა სოციო-ეკონომიკური რეინტეგრაციის კუთხით ჰქონდეთ შემოთავაზება.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მათ ოჯახებს ეს დახმარებები გარკვეულ პირობებში გაეწევა.

რეინტეგრაციაზე დახმარებები 3 ტიპის მქონე მექანიზმად განიხილება. ბენეფიციართა სიტუაციის და საჭიროებების გათვალისწინებით, ეს დახმარებები ბენეფიციართა პროფილის მიხედვით, შესაძლოა ერთმანეთს დაუკავშირდნენ:

- **სოციალურ რეინტეგრაციაში დახმარება** (ტიპი 1);
  სასწრაფო დახმარება მატერიალური ან ფინანსური კუთხით, რომელიც შეიძლება ეხებოდეს საცხოვრებლის კეთილმოწყობას, გარკვეული დროით საცხოვრებელზე დახმარებას, სამედიცინო ხარჯების უზრუნველყოფას, ბავშვების სკოლაში მოწყობას და სასკოლო ნივთებით მომარაგებას. მასში შეიძლება შედიოდეს გარკვეული დროით სოციალური მეგზურობაც, მაგალითად როგორიც არის ოჯახური საჭიროებების შეფასება.
- **დასაქმებით რეინტეგრაციაში დახმარება** (ტიპი 2);
  იგი შეიძლება მოიცავდეს:
  ○სამუშაოს დაწყებაში დახმარებას;
  ○დახმარებას სამუშაოს ძიებაში;
  ○პროფესიული განათლების მიღებაში დახმარებას.
- **საწარმოს გახსნით რეინტეგრაციაში დახმარება** (ტიპი 3).

## 5.3. სამშობლოში იძულებით დაბრუნება.

თუ ნებაყოფლობით გამგზავრების ვადა მოგეცათ და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ტერიტორია არ დატოვეთ, თქვენი საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობა არაკანონიერია.
ამ შემთხვევაში თქვენ შესაძლოა პოლიციამ ქვეყნიდან გაგაძევოთ. გაძევების ამ ზომას შესაძლოა წინ უძღვოდეს შინაპატიმრობა ან ადმინისტრაციულ დაკავების ცენტრში მოთავსება.

თუ თქვენ დაექვემდებარეთ OQTF-ს ნებაყოფლობით გამგზავრების ვადის გარეშე, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან იმყოფებით არალეგალურ სიტუაციაში და ქვეყნიდან გაძევება ნებისმიერ დროს გელით.

# 6. მფარველობით მოსარგებლეთა უფლებები

თუ თქვენი ლტოლვილად აღიარება მოხდა, ან მეორადი მფარველობით სარგებლობა მოგენიჭათ, თქვენ მაშინ საფრანგეთის ხელისუფლების მფარველობის ქვეშ იმყოფებით. შესაბამისად, ვეღარ მიმართავთ თქვენი ქვეყნის ხელისუფლებას და თქვენი შიშიდან გამომდინარე, იქ ვეღარც ჩახვალთ.

OFPRA უზრუნველყოფს თქვენს იურიდიულ და ადმინისტრაციულ დაცვას, რაც ნიშნავს რომ ეს ის დაწესებულებაა, რომელიც თქვენი სამოქალაქო მდგომარეობის აღდგენის შემდეგ გასცემს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დოკუმენტებს.

## 6.1. საფრანგეთში ცხოვრება.

**როგორც ლტოლვილს,** გეძლევათ 10 წლიანი ბინადრობის განახლებადი საბუთი, საფრანგეთის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლებით.

ლტოლვილად აღიარების გადაწყვეტილების მიღებისთანავე მიმართეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის პრეფექტურას. განაცხადიდან 8 დღის ვადაში პრეფექტურა გასცემს 6 თვიან განახლებად საბუთს წარწერით « აღიარებული ლტოლვილი ».

ეს დროებითი საბუთი თქვენი სასურველი პროფესიით მუშაობის უფლებას გაძლევთ. იგი განახლებადია 10 წლიანი საბუთის მიღებამდე. როგორც კი OFPRA თქვენს სამოქალაქო მდგომარეობას აღადგენს, პრეფექტურა ქვეყანაში მობინადრის საბუთს გადმოგცემთ.

**როგორც მეორადი მფარველობით მოსარგებლეს,** 2019 წლის 1 მარტიდან უფლება გაქვთ ისარგებლოთ ოთხ წლიანი ბინადრობის საბუთით, რომელიც უფლებას გაძლევთ თავისუფლად გადაადგილდეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე.

მფარველობის მონიჭების გადაწყვეტილების მიღებისთანავე მიმართეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის პრეფექტურას. განაცხადიდან 8 დღის ვადაში პრეფექტურა გასცემს 6 თვიან განახლებად საბუთს წარწერით « აღიარებული მეორადი მფარველობით მოსარგებლე ». ეს დროებითი საბუთი თქვენი სასურველი პროფესიით მუშაობის უფლებას გაძლევთ. როგორც კი OFPRA თქვენს სამოქალაქო მდგომარეობას აღადგენს, პრეფექტურა მობინადრის საბუთს გადმოგცემთ.

4 წლიანი მუდმივი ბინადრობის შემდეგ გადმოგეცემათ 10 წლიანი მობინადრის საბუთი.

## 6.2. ოჯახის ცხოვრება საფრანგეთში.

### ■ თქვენი ოჯახის წევრების საფრანგეთში ცხოვრების უფლებები.

**თუ ლტოლვილის ან მეორადი მფარველობის სტატუსი მოგენიჭათ,** თქვენი ოჯახის წევრებს სრული უფლება აქვთ ისევე ისარგებლონ ბინადრობის საბუთით როგორც თქვენ :

- თქვენი მეუღლე ან პარტნიორი რომელთანაც სამოქალაქო კავშირში იმყოფებით, თუ მისი ასაკი აღემატება 18 წელს და თუ ქორწინება ან სამოქალაქო კავშირი გაფორმებული გაქვთ თავშესაფრის მოთხოვნიდან სულ მცირე ერთი წლით ადრე და ადგილი აქვს თანაცხოვრებას;
- თქვენი მეუღლე ან პარტნიორი რომელთანაც სამოქალაქო კავშირში იმყოფებით ან არ იმყოფებით, თუ მას ნებართვა აქვს რომ ოჯახის გაერთიანების ფარგლებში იცხოვროს საფრანგეთში (იხილეთ რუბრიკა ქვემოთ « ოჯახის გაერთიანების უფლება »);
- თქვენი შვილები რომელთაც მიმდინარე წელს უსრულდებათ 18 წელი ან 16 წლის ასაკიდან თუ მათ მუშაობა სურთ;
- თქვენი მშობლები (რომელთაც პირველ შთამომავლადაც იღებენ), თუ ისევ არასრულწლოვანი ხართ და დაუოჯახებელი.

თქვენი ოჯახის წევრებმა ბინადრობის საბუთისთვის საცხოვრებელი ადგილის პრეფექტურას უნდა მიმართონ.

### ■ ოჯახის გაერთიანების უფლება.

თუ თქვენი ოჯახი საფრანგეთში არ იმყოფება იმ დროს როდესაც მფარველობა მოგენიჭათ, შეგიძლიათ მისი ჩამოყვანა ოჯახის გაერთიანების პროცედურის ფარგლებში. ამისათვის თქვენ არ მოგეთხოვებათ არც შემოსავლების და არც საცხოვრებელი ბინის დადასტურება.

ეს უფლება ეხება:

- თქვენი მეუღლე ან პარტნიორი რომელთანაც სამოქალაქო კავშირში იმყოფებით, თუ მისი ასაკი აღემატება 18 წელს და თუ ქორწინება ან სამოქალაქო კავშირი თავშესაფრის მოთხოვნამდე გაქვთ გაფორმებული;
- თქვენი პარტნიორი რომელთანაც სამოქალაქო კავშირში არ იმყოფებით, თუ მისი ასაკი აღემატება 18 წელს და თუ მფარველობის მოთხოვნამდე ადგილი ჰქონდა სტაბილურ და მუდმივ თანაცხოვრებას;
- დაუოჯახებელი შვილები რომელთა ასაკი აღემატება 19 წელს;
- თქვენი და თქვენი მეუღლის ადრინდელ ქორწინებაში დაბადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები. ეს ეხება ბავშვებს:
  - ✓ რომელთა წარმომავლობის ხაზი დადგენილია თქვენთან ან თქვენს მეუღლესთან მიმართებაში, ან რომელთა მეორე მშობელი გარდაიცვლილა, ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება;
  - ✓ რომელთა მეურვეობა მოგეკუთვნათ თქვენ, ან თქვენს მეუღლეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. საჭირო იქნება ამ გადაწყვეტილების ასლის წარდგენა და მეორე მშობლის ნებართვა არასრულწლოვანის საფრანგეთში ჩამოსვლასთან დაკავშირებით;
- თქვენი მშობლები (რომელთა პირველ შთამომავლადაც ითვლებით), თუ ხართ ისევ არასრულწლოვანი და დაუქორწინებელი. მათ შეუძლიათ იმ არასრულწლოვანი შვილების თანხლებით ჩამოსვლა ვისზედაც აკისრიათ პასუხისმგებლობა.

თქვენი ოჯახის წევრებმა საფრანგეთის დიპლომატიურ ან საკონსულო სერვისებში უნდა მოითხოვონ 3 თვეზე მეტ ვადიანი ვიზა. ისინი მოთხოვნაზე პასუხს მოკლე ვადებში მიიღებენ. არავითარი წინასწარი წერილით მიმართვა ლტოლვილთა ოჯახების ბიუროში არ არის საჭირო.

ოჯახის გაერთიანებაზე შესაძლოა უარი მიიღოთ, თუ არ გაითავისებთ იმ მთავარ პრინციპებს რომლითაც, რესპუბლიკის კანონების მიხედვით, ოჯახური ცხოვრებაა მართული საფრანგეთში. გაერთიანებაზე უარს მიიღებს ოჯახის ის წევრი რომლის საფრანგეთში ყოფნა საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ან როდესაც დადგინდა რომ იგი არის დევნის, დანაშაულებრივი ქმედების წამქეზებელი, ავტორი ან თანამონაწილე რაც მფარველობის მინიჭებით დადასტურდა.

თუ თქვენი ქორწინება თავშესაფრის მოთხოვნის შემდეგ გაფორმდა, ოჯახის გაერთიანებისთვის OFII-ს მიმართეთ.

## 6.3. ინტეგრაცია.

### ■ იმიგრაციის და ინტეგრაციის ფრანგულ ოფისთან (OFII) საინტეგრაციო ხელშეკრულების გაფორმება

როგორც ლტოლვილს ან მეორადი მფარველობის სტატუსის მქონე პირს, მოგეთხოვებათ საინტეგრაციო ხელშეკრულებაზე (CIR) ხელის მოწერა. ეს ხელშეკრულება ფორმდება თქვენსა და სახელმწიფოს შორის და მიზნად ისახავს თქვენს ფრანგულ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ეს ხელშეკრულება თქვენთვის ხელმისაწვდომს ხდის :

- 4 დღიან სამოქალაქო სტაჟირებას რომელიც ეძღვნება: პრინციპების, ღირებულებების, რესპუბლიკაში არსებული ინსტიტუციების, უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობას, რაც საფრანგეთში ცხოვრებასთან არის კავშირში, ისევე როგორც ფრანგული საზოგადოების ორგანიზაციას;
- ფრანგული ენის შესწავლას თქვენი დონის შესაბამისად რის შემდეგაც შესაძლებელია მოიპოვოთ თქვენი დონის შესაბამისი სერთიფიკატი;

- რჩევას პროფესიული განათლების მიღების კუთხით და მეგზურობას რომელიც ხელს შეუწყობს თქვენს პროფესიულ ინტეგრირებას;
- თქვენს საჭიროებებთან ადაპტირებულ მეგზურობას, რათა გაადვილდეს თქვენი მიღების და ინტეგრაციის პირობები.

დამატებით ვრცელი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ თქვენი საცხოვრებელი ადგილის OFII-ს ტერიტორიალურ წარმომადგენლობას დაუკავშირდეთ.

## 6.4. სოციალური უფლებები.

### ■ ხელმისაწვდომობა დაბინავებაზე.

თუ თქვენ თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურის მანძილზე CADA-ში ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურაში იყავით დაბინავებული, მფარველობის მიღების შემდეგ და პრეფექტის თანხმობის საფუძველზე, გეძლევათ 3 თვიანი, ერთხელ განახლებადი, იმავე საცხოვრებელში ბინადრობის უფლება.

როგორც მფარველობით მოსარგებლე პირს, შეგიძლიათ თხოვნით მიმართოთ OFII-ს რომ მოხდეს თქვენი განთავსება დროებით საცხოვრებელში (CPH). თუ ამ საცხოვრებელში მიღების პირობებს აკმაყოფილებთ და თუ არის თავისუფალი ადგილი, იქ ცხოვრება შეგძლიათ ცხრა თვის განმავლობაში. ბინადრობის ეს პერიოდი განახლებადია ერთხელ, სამი თვით.

საცხოვრებელი ცენტრის მომუშავე გუნდი ინდივიდუალურად, თქვენს სიტუაციასთან გლობალური მიდგომით მეგზურობას გაგიწევთ ინტეგრაციის კუთხით.

ამასთანავე, კომპეტენტურ სტრუქტურებში მოთხოვნის შეტანის საფუძველზე, თქვენ შეგიძლიათ სოციალურ ან კერძო ბინაზე ხელმისაწვდომობით ისარგებლოთ.

### ■ ხელმისაწვდომობა დასაქმების ბაზარზე.

**თუ ლტოლვილის სტატუსი მოგენიჭათ,** თქვენ თავისუფლად გაქვთ წვდომა დასაქმების ბაზარზე როგორც კი მიიღებთ პირველ დროებით საბუთს წარწერით « აღიარებული ლტოლვილი ».

**თუ სარგებლობთ მეორადი მფარველობით,** ამ შემთხვევაშიც შეგიძლიათ მუშაობა პირველი დროებითი საბუთის წარწერით « მოიპოვა მეორადი მფარველობით სარგებლობა » მიღებისთანავე.

თქვენთვის ხელმისაწვდომია ყველა სახის სამუშაო კონტრაქტი, დროებითი (CDD) თუ მუდმივი (CDI). თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ ჩაეწეროთ სამუშაოს მაძიებელთა სიაში და ისარგებლოთ პერსონალიზირებული მეგზურობით. თქვენ შეგიძლიათ შეუდგეთ პროფესიული მომზადების კურსებს.

ლტოლვილის ან მეორადი მფარველობით მოსარგებლე პირის ოჯახის წევრების ბინადრობის საბუთი იძლევა მუშაობის უფლებას.

ზოგიერთი პროფესია რეგულირებადია და დიპლომის ან მოქალაქეობის პირობითობას ექვემდებარება. მობინადრის საბუთი რომელიც ზღვისიქითა ტერიტორიებზე გაიცა, მფლობელს საფრანგეთში მუშაობის უფლებას არ აძლევს.

### ■ ხელმისაწვდომობა მკურნალობაზე.

**სად შეიძლება მკურნალობა?** იხილეთ პარაგრაფი 4.4 « ხელმისაწვდომობა მკურნალობაზე / სად შეიძლება მკურნალობა »

**როგორ მოიპოვოთ სამედიცინო დაზღვევა, რათა უზრუნველყოთ თქვენი მკურნალობა?**

- **თუ სამედიცინო დაზღვევა ჯერ კიდევ არ გითხოვიათ სამედიცინო დაზღვევის მთავარ ფონდში (CPAM):**

იხილეთ პარაგრაფი 4.4 « ხელმისაწვდომობა მკურნალობაზე / » « როგორ მოიპოვოთ მკურნალობის დაფინანსება? »

სამედიცინო დაზღვევას უნდა დაურთოთ შემდეგი დოკუმენტები:

- პრეფექტურისგან გაცემული ბინადრობის საბუთი წარწერით « აღიარებულია ლტოლვილად » ან « მოიპოვა მეორადი მფარველობით სარგებლობა » ;
- თუ გყავთ ბავშვები, დროებითი მოწმობა ოჯახური შემადგენლობის შესახებ ;
- ადმინისტრაციული მისამართის მოწმობა ან ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

- **თუ თქვენ უკვე მოითხოვეთ სამედიცინო დაზღვევა CPAM-ში:**

სადაზღვევო ფონდიდან უკვე მიიღეთ სადაზღვევო მოწმობა. თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით სამედიცინო დაზღვევით და შეგიძლიათ დამატებითი დაზღვევითაც ისარგებლოთ, თუ მასზე მოთხოვნა უკვე გააკეთეთ. სანამ დამატებითი დაზღვევის მოქმედების ვადა ამოიწურებოდეს, ახალი მოთხოვნის შესატანად სასურველია იზრუნოთ ორი თვით ადრე (CMU-ს მოქმედების ვადა მოწმობაზე ფიგურირებს).

საჭიროა რომ სადაზღვევო ფონდს გაუგზავნოთ თვენი დროებითი ბინადრობის საბუთი და OFPRA-ს მიერ გაცემული სამოქალაქო მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები.

შესაბამისად თქვენ მიიღებთ განახლებულ მოწმობას ახალი საიდენტიფიკაციო ნომრით.

ამის შემდეგ სადაზღვევო ფონდში შეგიძლიათ ითხოვოთ დაზღვევის ბარათი « carte Vitale ». ეს ბარათი უფასოა, მოწმობას ჩაანაცვლებს და მკორნალობის ნებისმიერ პროცესში უნდა წარადგინოთ.

## ■ სოციალური სარგებელი და ოჯახზე გათვლილი დახმარება.

თუ პირობებს აკმაყოფილებთ, შეიძლებათ სხვადასხვა სოციალური დახმარებით სარგებლობა (როგორიც არის აქტიური სოლიდარობის შემოსავალი, აქტივობის პრემია, ბინის ქირაზე დახმარება, სრულწლოვანი ინვალიდებისთვის დახმარება) და თუ ბავშვები გყავთ, ოჯახზე სარგებლის მიღება.

სოციალურ სარგებელში იგულისხმება ფინანსური დახმარება რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ შემოსავალს ან დამატებითი შემოსავლის წყაროა თქვენს დასახმარებლად, რათა თავი გაართვათ მაგალითად, საცხოვრებლის ხარჯების გადახდას. იგი აგრეთვე გეხმარებათ სხვადასხვა ხარჯების უზრუნველსაყოფად როგორიც არის : ბავშვის დაბადება, მისი შენახვა და აღზრდა, სასწავლო წლის დაწყება, ინვალიდობა და სხვა ხარჯები.

სოციალური სარგებელი და ოჯახზე გამოყოფილი დახმარებები განკუთვნილია მწირი შემოსავლის მქონე პირებზე. ამ დახმარებებს გასცემს ოჯახების დახმარების ფონდი რომელიც სამსახურიც საფრანგეთის ტერიტორიაზე ასობით არის წარმოდგენილი.

ამ დახმარებებზე უფრო ვრცელი ინფორმაციის მისაღებად და მათი მოთხოვნისთვის, შეგიძლიათ მიმართოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის ოჯახების დახმარების ფონდს (CAF-ს) ან მოთხოვნა ელექტრონულად განახორციელოთ (www.caf.fr ; www.msa.fr).

<u>ყურადღება:</u> RSA-თი ან აქტივობის პრემიით სარგებლობა შეგიძლიათ მოითხოვნის საფუძველზე. ამ უფლებით სარგებლობის განხილვა წარმოებს მხოლოდ ლტოლვილის სტატუსის ან მეორადი მფარველობის მონიჭების შემთხვევაში.

## 6.5. საზღვარგარეთ მოგზაურობა.

თუ მფარველობით სარგებლობთ და გსურთ საფრანგეთის ფარგლებს გარეთ გასვლა, შეგიძლიათ სამგზავრო საბუთის მოთხოვნა პრეფექტურაში.

**ლტოლვილს,** მოგენიჭებათ ხუთ წლიანი სამგზავრო საბუთი. გადასახადის ოდენობაა 45 ევრო.

**მეორადი მფარველობით მოსარგებლეს,** მოგენიჭებათ ოთხ წლიანი პირადობის და სამგზავრო საბუთი. გადასახადის ოდენობა შეადგენს 40 ევროს.

ეს სამგზავრო საბუთები საფრანგეთის საკონსულო ან დიპლომატიურ სამსახურებში არ განახლდება. სანამ სამოგზაუროდ გაემგზავრებოდეთ, იზრუნეთ სამგზავრო საბუთის სათანადოდ განახლებაზე, ისე რომ იგი მოქმედი იყოს თქვენი მოგზაურობის განმავლობაში.

თუ თქვენი სამგზავრო საბუთის მოქმედების ვადა ამოიწურა (ან იგი დაკარგეთ, ან მოგპარეს), და თქვენ საფრანგეთის საზღვრებს გარეთ იმყოფებით, უნდა მიმართოთ იმ ქვეყნის საფრანგეთის საკონსულო ან დიპლომატიურ სამსახურებს სადაც იმყოფებით, რათა მოიპოვოთ საშვი რომელიც მოქმედი ბინადრობის საბუთის თანხლებით საფრანგეთში დაბრუნების საშუალებას მოგცემთ.

თუ ხართ ლტოლვილის ან მეორადი მფარველობის სტატუსით მოსარგებლე, საფრანგეთის ტერიტორიაზე მყოფ თქვენს არასრულწლოვან ბავშვზე გაიცემა ერთ წლიანი პირადობის და სამგზავრო საბუთი. გადასახადის ოდენობა შესადგენს 15 ევროს.

**შეგიძლიათ თუ არა თქვენს ქვეყანაში მოგზაურობა?**

ეს სამგზავრო საბუთები თქვენს ქვეყანაში მიმოსვლის საშუალებას არ გაძლევთ. თუ თქვენს ქვეყანაში დაბრუნდებით, OFPRA-მ შესაძლოა მიიჩნიოს რომ თქვენ იქ საფრთხე აღარ გემუქრებათ და თქვენი მფარველობა შეწყვიტოს (იხილეთ 6.7).

თუმცა, განსაკუთრებული გარემოებების (მაგალითად ახლობლის მძიმე ავადმყოფობა ან გარდაცვალება) მიზეზით შეგიძლიათ პრეფექტურაში ითხოვოთ მაქსიმუმ სამ თვიანი ნებართვა რომელიც თქვენს ქვეყანაში დაბრუნების უფლებას მოგცემთ.

## 6.6. მოქალაქეობა.

**ლტოლვილად აღიარებულს,** სტატუსის მიღებისთანავე შეგიძლიათ ითხოვოთ მოქალაქეობა.

**თუ თქვენ მოიპოვეთ მეორადი მფარველობით სარგებლობა,** მოქალაქეობაზე განაცხადის შეტანამდე უნდა დაასაბუთოთ საფრანგეთში 5 წლიანი უწყვეტი ბინადრობა.

მოქალაქეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეთ სხვადასხვა პირობებს, როგორიც არის მაგალითად, ფრანგული ენის ცოდნა.

განაცხადის შეტანა ხდება მოქალაქეობის სამსახურში.

## 6.7. მფარველობის დასრული.

- ✓ **თაღლითობა:** თუ აღმოჩნდა რომ მფარველობა თაღლითობის გზით მოიპოვეთ, OFPRA-მ შესაძლოა მფარველობით სარგებლობა შეგიჩეროთ.

- ✓ **თქვენ მიიღეთ ახალი მოქალაქეობა რაც საშუალებას გაძლევთ რომ იყოთ დაცული და საფრანგეთის მიერ მონიჭებული საერთაშორისო მფარველობას უარგებლოს ხდის**

- ✓ **საშიშროება აღარ გელით თქვენს ქვეყანაში:** OFPRA-მ შესაძლოა მიიჩნიოს რომ თქვენს სამშობლოში საშიშროება აღარ გაქვთ და შესაბამისად, მფარველობა შეგიჩეროთ თუ:
  - თქვენი სურვილით ჩახვედით და იცხოვრეთ თქვენს ქვეყანაში;
  - მიმართეთ თქვენი ქვეყნის ხელისუფლებას;
  - შეინიშნა იმ გარემოებების მკვეთრი და ხანგრძლივი ცვლილება რამაც მფარველობის მონიჭება განაპირობა.

- ✓ **გამორიცხვის დებულებები :** OFPRA მფარველობას გიჩერებთ თუ აღმოჩნდა რომ ჩაიდინეთ მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაული, სამხედრო დანაშაული, ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, მძიმე დანაშაული ან ბრალი მიგიძღვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებაში.

- ✓ **ქვეყნის ტერიტორიაზე თქვენი ყოფნა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, ქვეყნის და საზოგადოების უსაფრთხოებას :**

**- თუ სარგებლობთ ლტოლვილის სტატუსით,** მფარველობა გიჩერდებათ როდესაც :

  - ○ არსებობს სერიოზული მიზეზები იმის დასაშვებად რომ თქვენი საფრანგეთში ყოფნა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს;
  - ○ საბოლოო გადაწყვეტილებით თქვენ მსჯავრდებული ხართ საფრანგეთში, ევრო კავშირის წევრ ქვეყანაში, ლიხტენშტეინში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში ან ისლანდიაში დანაშაულის ჩადენისთვის, ან ტერორისტული აქტის შემცველი დანაშაულისთვის რომელიც 10 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და თქვენი ყოფნა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ფრანგულ საზოგადოებას;

**- თუ სარგებლობთ მეორადი მფარველობით,** მფარველობის შეჩერება ხდება როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე თქვენი ყოფნა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, ქვეყნის და საზოგადოების უსაფრთხოებას.

# დანართი: საჭირო მისამართები

*ეს ნუსხა ამომწურავი არ არის*

# 1. მისამართები სახელმწიფო მასშტაბით

## ■ ინსტიტუციები

**Office français de protection des réfugiés et apatrides (OFPRA)**
201, rue Carnot
94 136 FONTENAY-SOUS-BOIS CEDEX
tél : 01 58 68 10 10
fax : 01 58 68 18 99
http://www.ofpra.gouv.fr/

**Cour nationale du droit d'asile (CNDA)**
35, rue Cuvier
93 558 MONTREUIL-SOUS-BOIS Cedex
tél : 01 48 10 40 00
fax : 01 48 18 41 97
http://www.commission-refugies.fr/

**Office français de l'immigration**
**et de l'intégration (OFII)**
44, rue Bargue
75 015 PARIS
tél : 01 53 69 53 70
fax : 01 53 69 53 69
http://www.ofii.fr

## ■ საერთაშორისო ორგანიზაციები

**Haut-Commissariat des Nations-Unies**
**pour les Réfugiés (HCR)** Représentation en France
7, rue Henri Rochefort
75017 PARIS
Tél. : +33 (0)1 44 43 48 58
Fax : +33(0)1 44 43 48 61
www.unhcr.fr/fr-fr

## ■ ასოციაციები

**Association des chrétiens pour l'abolition**
**de la torture (ACAT)**
7, rue Georges Lardennois
75 019 PARIS
tél : 01 40 40 42 43 / fax : 01 40 40 42 44
http://www.acatfrance.fr/

**Act'up**
9, rue des Dunes
75 019 PARIS
tél : 01 75 42 81 25
http://www.actupparis.org/

**ARDHIS**
Centre LGBT Paris-Île-de-France,
63, rue Beaubourg, 75003 Paris
tél : 01 43 57 21 47
https://ardhis.org/WP3/

**Amnesty International - section française**
72-76, boulevard de la Villette
75 019 PARIS
tél : 01 53 38 65 65 / fax : 01 53 38 55 00
http://www.amnesty.fr/

**Association Primo Lévi**
107, avenue Parmentier
75 011 PARIS
tél : 01 43 14 88 50 / fax : 01 43 14 08 28
http://www.primolevi.asso.fr/

**Association d'accueil aux médecins et personnels de santé réfugiés en France (APSR)**
Hôpital Sainte Anne
1, rue Cabanis
75 014 PARIS
tél : 01 45 65 87 50 / fax : 01 53 80 28 19
http://www.apsr.asso.fr

**Comité d'aide exceptionnelle aux intellectuels réfugiés (CAEIR)**
43, rue Cambronne
75 015 PARIStél : 01 43 06 93 02 / fax : 01 43 06 57 04

**Centre d'action sociale protestant (CASP)**
20, rue Santerre
75 012 PARIS
tél : 01 53 33 87 50 / fax : 01 43 44 95 33
http://www.casp.asso.fr

**CIMADE - Service œcuménique d'entraide**
91 rue Oberkampf
75011 PARIS tél : 01 44 18 60 50 / fax : 01 45 56 08 59
http://www.cimade.org

**Comité médical pour les exilés (COMEDE)**
Hôpital de Bicêtre
78, rue du Général Leclerc
BP 31
94 272 LE KREMLIN BICÊTRE
tél : 01 45 21 39 32 / fax : 01 45 21 38 41
http://www.comede.org

**Croix rouge française**

98 rue Didot,
75694 Paris Cedex 14 tél : 01 44 43 11 00
fax : 01 44 43 11 01
http://www.croix-rouge.fr

**Fédération des associations de soutien aux travailleurs immigrés (FASTI)**
58, rue des Amandiers
75 020 PARIS
tél : 01 58 53 58 53 / fax : 01 58 53 58 43
http://www.fasti.org

**Forum réfugiés**
28, rue de la Baïsse - BP 1054
69 612 VILLEURBANNE CEDEX
tél : 04 78 03 74 45/ fax : 04 72 97 05 81
http://www.forumrefugies.org

**France Terre d'Asile (FTDA)**
24, rue Marc Seguin
75 018 PARIS
tél : 01 53 04 39 99 / fax : 01 53 04 02 40
http://www.france-terre-asile.org

**Groupe accueil solidarité (GAS)**
17, place Maurice Thorez
94 800 VILLEJUIF
tél : 01 42 11 07 95 / fax : 01 42 11 09 91
http://www.gas.asso.fr/

**Groupe d'information et de soutien des immigrés (GISTI)**
3, villa Marcès
75 011 PARIS
tél  : 01 43 14 60 66 / fax : 01 43 14 60 69
http://www.gisti.org

**Ligue des droits de l'homme (LDH)**
138, rue Marcadet
75 018 PARIS
tél : 01 56 55 50 10 / fax : 01 56 55 51 21
http://www.ldh-france.org

**Mouvement contre le racisme et pour l'amitié entre les peuples (MRAP)**
43, boulevard Magenta
75 010 PARIS
tél : 01 53 38 99 99 / fax : 01 40 40 90 98
https://www.mrap.fr/

**Secours catholique CEDRE**
23, boulevard de la Commanderie

75 019 PARIS
tél : 01 48 39 10 92 / fax : 01 48 33 79 70
http://www.secours-catholique.asso.fr

**Service national de la pastorale des migrants (SNPM)**
58, avenue de Breteuil
75007 PARIS tél : 01 73 36 69 47
https://migrations.catholique.fr/

## 2. ადგილობრივი მისამართები

### ■ ერთიანი მიმღები პუნქტები

AUVERGE-RHONE-ALPES

- Isère
  12 Place de Verdun, 38000 Grenoble
- Puy-de-Dôme

18 Boulevard Desaix, 63000 Clermont-Ferrand

- Rhône

106 rue Pierre Corneille, 69003 Lyon

BOURGOGNE-FRANCHE-COMTE

- Côte-d'Or

51 rue de la Préfecture, 21041 Dijon

- Doubs

8 bis rue Charles Nodier, 25035 Besançon

- Saône-et-Loire

196 rue de Strasbourg, 71000 Mâcon

BRETAGNE

- Ille-et-Vilaine

3 av. de la Préfecture, 35026 Rennes

CENTRE

- Loiret

181 rue de Bourgogne, 45042 Orléans

GRAND-EST

- Marne

38 rue Carnot, 51036 Châlons-en-Champagne

- Moselle

9 rue de la Préfecture, 57000 Metz

- Bas-Rhin

5 place de la République, 67073 Strasbourg

- Haut-Rhin

7 rue Bruat 68020 Colmar

HAUTS DE FRANCE

- Nord

12/14 rue Jean Sans Peur, 59039 Lille

- Oise

1 place de la Préfecture, 60000 Beauvais

ILE-DE-FRANCE

- Paris

92 boulevard Ney, 75018 Paris

- Seine-et-Marne

12 rue des Saints Pères, 77000 Melun

- Yvelines

1 rue Jean Houdon, 78000 Versailles

- Essonne

Boulevard de France, 91000 Evry

- Hauts-de-Seine

167-177 avenue Joliot Curie, 92000 Nanterre

- Seine-Saint-Denis

13 rue Marguerite Yourcenar, 93000 Bobigny

- Val-de-Marne

13/15 rue Claude Nicolas Ledoux, 94000 Créteil

- Val-d'Oise

5 avenue Bernard Hirsch, 95010 Cergy-Pontoise

NORMANDIE

- Calvados

Rue Daniel Huet, 14038 Caen

- Seine-Maritime

7 place de la Madeleine, 76000 Rouen

NOUVELLE-AQUITAINE

- Gironde

2 esplanade Charles de Gaulle, 33000 Bordeaux

- Vienne

Bâtiment Haussmann, Impasse des Ecossais, 86000 Poitiers

- Haute-Vienne

19 rue Cruveilhier, 87000 Limoges

OCCITANIE

- Haute-Garonne

1 place Saint-Etienne, 31038 Toulouse

- Hérault

34 place des Martyrs de la résistance, 34000 Montpellier

PROVENCE-ALPES-COTE D'AZUR

- Alpes-Maritimes

17 bd du Mercantour 06200 Nice

- Bouches-du-Rhône

66 bis Rue Saint-Sébastien, 13006

PAYS-DE-LA-LOIRE

- Loire-Atlantique

6 quai Ceineray, 44035 Nantes

- Maine-et-Loire

Place Michel Debré, 49934 Angers

OUTRE-MER (services « asile » des préfectures)

- Martinique

Rue Victor Sévère, 972000 Fort-de-France

- Guadeloupe

Grand camp, Immeuble situé à côté de la SIG, 97139 Abymes

- Guyane

23 rue Arago, 97300 Cayenne

- La Réunion

6 rue des Messageries, CS 51079 97404 Saint Denis Cedex

- Mayotte

BP 979 97600 Mamoudzou.

## ■ პრეფექტურები

ALSACE

- Haut-Rhin
  7, rue Bruat, 68 020 Colmar
- Bas-Rhin
  5, place de la République, 67 073 Strasbourg

AQUITAINE

- Gironde
  2, esplanade Charles de Gaulle,
  33 000 Bordeaux
- Dordogne
  2, rue Paul Louis Courier, 24 000 Périgueux
- Landes
  24, rue Victor Hugo, 40 021 Mont-de-Marsan
- Lot-et-Garonne
  Place de Verdun, 47 920 Agen
- Pyrénées-Atlantiques
  2, rue du maréchal Joffre, 64 021 Pau

AUVERGNE

- Puy-de-Dôme
  18, boulevard Desaix,
  63 000 Clermont-Ferrand
- Allier
  2, rue Michel de l'Hospital, 03 000 Moulins
- Cantal
  2, cours Monthyon, 15 000 Aurillac

- Haute-Loire
  6, avenue du Général de Gaulle
  43 000 Le Puy-en-Velay

BOURGOGNE
- Saône-et-Loire
  196, rue de Strasbourg, 71 000 Mâcon
- Nièvre
  40, rue de la Préfecture, 58 000 Nevers
- Yonne
  Place de la Préfecture, 89 000 Auxerre
- Côte d’Or
  53, rue de la Préfecture, 21 041 Dijon

BRETAGNE
- Ille-et-Vilaine
  3, avenue de la Préfecture, 35 026 Rennes
- Côtes d’Armor
  1, place Général de Gaulle, 22 000 Saint-Brieuc
- Finistère
  42, boulevard Dupleix, 29 000 Quimper
- Morbihan
  24, place de la République, 56 000 Vannes

CENTRE
- Loiret
  181, rue de Bourgogne, 45 042 Orléans
- Cher
  Place Marcel Plaisant, 18 000 Bourges
- Eure-et-Loir
  Place de la République, 28 000 Chartres
- Indre
  Place de la Victoire et des Alliés,
  36 000 Châteauroux
- Indre-et-Loire
  15, rue Bernard Palissy, 37 925 Tours
- Loir-et-Cher
  Place de la république, 41 000 Blois

CHAMPAGNE-ARDENNE
- Ardennes
  Esplanade du Palais de Justice,
  08 000 Charleville-Mézières
- Aube
  2, rue Pierre Labonde, 10 000 Troyes
- Haute-Marne
  89, rue Victoire de la Marne,
  52 011 Chaumont

- Marne
  38, rue Carnot,
  51 036 Châlons-en-Champagne

FRANCHE-COMTE
- Doubs
  8, bis Rue Charles Nodier, 2 5035 Besançon
- Jura
  8, rue de la Préfecture, 3 9000 Lons-le-Saunier
- Haute-Saône
  1, rue de la Préfecture, 70 013 Vesoul
- Territoire de Belfort
  Place de la République, 90 000 Belfort

GUADELOUPE
- Palais d'Orléans, Rue Lardenoy,
  97 109 Basse-Terre 97109, Guadeloupe

ILE-DE-FRANCE
- Paris : 92, boulevard Ney, 75 018 Paris
- Seine-et-Marne
  12, rue des Saints Pères, 77 000 Melun
- Yvelines
  1, rue Jean Houdon, 78 000 Versailles
- Essonne
  Boulevard de France, 91 000 Evry
- Hauts-de-Seine
  167-177, avenue Frédéric et Irène Joliot Curie, 92 000 Nanterre
- Seine-Saint-Denis
  1, esplanade Jean Moulin, 93 007 Bobigny
- Val-de-Marne
  21-29, avenue du Général De Gaulle,
  94 038 Créteil cedex
- Val d'Oise
  5, avenue Bernard Hirsch, 95 010 Cergy-Pontoise

LANGUEDOC-ROUSSILLON
- Hérault : 34, place des Martyrs de la résistance, 34 000 Montpellier
- Aude : 52, rue Jean Bringer,
  11 000 Carcassonne
- Gard : 10, avenue Feuchères, 30 000 Nîmes
- Lozère : rue du faubourg Montbel,
  48 005 Mende
- Pyrénées-Orientales : 120, avenue Emile Roudayre, 66 000 Perpignan

LIMOUSIN
- Corrèze : 1, rue Souham, 19 000 Tulle
- Creuse : 4, place Louis Lacrocq, 23 000 Guéret
- Haute-Vienne : 1, rue de la Préfecture,
  87 000 Limoges

LORRAINE
- Moselle : 9, place de la Préfecture
  570 00 Metz
- Meuse
  40, rue du Bourg, 55 000 Bar-le-Duc
- Meurthe-et-Moselle
  1, rue Préfet Claude Erignac, 54 000 Nancy
- Vosges : Place Foch, 88 026 Epinal

MIDI-PYRENEES
- Haute-Garonne
  1, place Saint-Étienne, 31 038 Toulouse
- Ariège
  2, rue de la préfecture Préfet Claude Erignac, 09 000 Foix
- Aveyron
  7, place Général de Gaulle, 12 000 Rodez
- Gers
  7, rue Arnaud de Moles, 32 000 Auch
- Lot
  Cité Bessières, Rue Pierre Mendes France, 46000 Cahors
- Hautes-Pyrénées
  Place du Général de Gaulle, 65 000 Tarbes
- Tarn
  Place de la Préfecture, 81 013 Albi
- Tarn-et-Garonne
  2, allée de l'Empereur, 82 013 Montauban

NORD-PAS-DE-CALAIS
- Nord
  12/14, rue Jean sans Peur, 59 039 Lille
- Pas-de-Calais
  9, esplanade Jacques Vendroux, 62 100 Calais

BASSE-NORMANDIE
- Calvados
  Rue Daniel Huet, 14 038 Caen cedex 09
- Manche
  Place de la Préfecture, 50 002 Saint-Lô
- Orne
  39, rue Saint-Blaise, 61 018 Alençon

HAUTE-NORMANDIE
- Seine-Maritime
  7, place de la Madeleine, 76 000 Rouen
- Eure
  Boulevard Georges Chauvin, 27 000 Evreux

PAYS DE LOIRE

- Loire-Atlantique
  6, quai Ceineray, 44 035 Nantes
- Vendée
  29, rue Dellile, 85 009 La Roche-sur-Yon
- Maine-et-Loire
  Place Michel Debré, 49 934 Angers
- Mayenne
  46, rue Mazagran, 53 015 Laval
- Sarthe
  Place Aristide Briand, 72 041 Le Mans

PICARDIE
- Oise
  1, place de la Préfecture, 60 000 Beauvais
- Aisne
  27, rue Paul Doumer, 02 000 Laon
- Somme
  51, rue de la République, 80 000 Amiens

POITOU-CHARENTES
- Charente
  7-9, rue de la Préfecture, 16 023 Angoulême
- Charente-Maritime
  38, rue Réaumur, 17 000 La Rochelle
- Deux-Sèvres
  4, rue Duguesclin, 79 099 Niort
- Vienne
  7, place Aristide Briand, 86 000 Poitiers

PROVENCE-ALPES-COTE-D’AZUR
- Bouches-du-Rhône
  66 bis, rue Saint-Sébastien, 13 006 Marseille
- Vaucluse :
  28, boulevard Limbert, 84 000 Avignon
- Alpes-Maritimes
  147, boulevard du Mercantour, 06 200 Nice
- Alpes-de-Haute-Provence
  Avenue Demontzey, 04 002 Digne les Bains
- Hautes-Alpes
  28, rue Saint-Arey, 05 000 Gap
- Var
  Boulevard du 112e régiment d’infanterie,
  83 070 Toulon

RHONE-ALPES
- Isère
  12, place de Verdun, 38 000 Grenoble
- Savoie
  Château des Ducs de Savoie,
  73 018 Chambéry

- Haute-Savoie
  Rue Louis Revon, 74 000 Annecy
- Rhône
  106, rue Pierre Corneille, 69 003 Lyon
- Ain
  4,5 avenue Alsace Lorraine, 01 012 Bourg en Bresse
- Ardèche
  5, rue pierre Filliat, 07 000 Privas
- Drôme
  3, boulevard Vauban, 26 000 Valence
- Loire
  2, rue Charles de Gaulle, 42 022 Saint-Etienne

## ■ იმიგრაციის და ინტეგრაციის ფრანგული ოფისის (OFII) ტერიტორიალური წარმომადგენლობები

Direction centrale
44, rue Bargue
75 732 Paris Cedex 15
tél : 01 53 69 53 70

Amiens (02, 60, 80)
275, rue Jules Barni – Bât. D
80 000 Amiens
tél : 03 22 91 28 99 / amiens@ofii.fr

Besançon (25, 70, 39, 90)
3, avenue de la Gare d'Eau
25 000 Besançon
tél : 03 81 25 14 39 / besancon@ofii.fr

Bobigny (93)
13, rue Marguerite Yourcenar
93 000 Bobigny
tél : 01 49 72 54 00 / Seine-saint-denis@ofii.fr

Bordeaux (24, 33, 40, 47,6 4)
55, rue Saint Sernin,
33 002 Bordeaux Cedex
tél : 05 57 14 23 00 / bordeaux@ofii.fr
Caen (14, 50, 61)
Rue Daniel Huet
14 038 Caen Cedex 9
tél : 02 31 86 57 98 / Caen@ofii.fr

Cayenne (973
17/19, rue Lalouette BP 245
97 325 Cayenne
tél : 05 94 37 87 00 / cayenne@ofii.fr

Cergy (95)
Immeuble « Ordinal » Rue des Chauffours,
95 002 Cergy Pontoise Cedex
tél : 01 34 20 20 30 / cergy@ofii.fr

Clermont-Ferrand (03, 15, 63, 43)
1, rue Assas
63 033 Clermont Ferrand
tél : 04 73 98 61 34 / Clermont-ferrand@ofii.fr

Créteil (91, 94)
13/15, rue Claude Nicolas Ledoux
94 000 Créteil
tél : 01 41 94 69 30 / creteil@ofii.fr

Dijon (21, 58, 71, 89)
Cité administrative Dampierre
6, rue du Chancelier de l'Hospital
21 000 Dijon
tél : 03 80 30 32 30 / dijon@ofii.fr

Grenoble (74, 38, 73
Parc Alliance - 76, rue des Alliés
38 100 Grenoble
tél : 04 76 40 95 45 / grenoble@ofii.fr

Lille (59, 62)
2, rue de Tenremonde
59 000 Lille
tél : 03 20 99 98 60 / lille@ofii.fr

Limoges (23, 19, 87)
19, rue Cruveihier
87 000 Limoges
tél : 05 55 11 01 10 / limoges@ofii.fr

Lyon (01, 07, 26, 42, 69)
7, rue Quivogne
69 286 Lyon Cedex 02
Tél : 04 72 77 15 40 / Lyon@ofii.fr
Marseille (13, 20, 04, 05, 83, 84)
61, boulevard Rabatau
13 295 Marseille Cedex 08
tél : 04 91 32 53 60 / Marseille@ofii.fr

Antenne Mayotte OFII (976)
N15 Espace Coralium, RN1 – CS 80058 Kaweni, 97 600 Mamoudzou
tél : 02 069 62 23 54 / mayotte@ofii.fr

Melun (77)
2 bis, avenue Jean Jaurès
77 000 Melun
tél : 01 78 49 20 00 / Melun@ofii.fr

Metz (54, 55, 57, 88)
2, rue Lafayette
57 000 Metz
tél : 03 87 66 64 98 / metz@ofii.fr

Montpellier (30, 34, 48, 66)
Le Régent - 4, rue Jules Ferry
34 000 Montpellier
tél : 04 99 77 25 50 / montpellier@ofii.fr

Montrouge (92, 78)
221, avenue Pierre Brossolette
92 120 Montrouge
tél : 01 41 17 73 00 / montrouge@ofii.fr

Nantes (44, 53, 49, 72, 85)
93 bis, rue de la Commune de 1871
44 400 Rezé
tél : 02 51 72 79 39 / nantes@ofii.fr

Nice (06)
Immeuble SPACE- Bât. B
11, rue des Grenouillères
06 200 Nice
tél : 04 92 29 49 00 / nice@ofii.fr

Orléans (18, 28, 36, 37, 45, 41)
4, rue de Patay
45 000 Orléans
tél : 02 38 52 00 34 / orleans@ofii.fr

Paris (75)
48, rue de la Roquette
75 11 Paris
tél : 01 55 28 19 40 / paris@ofii.fr

Pointe-à-Pitre (971, 972)
Immeuble Plazza - Boulevard Chanzy
97 110 Pointe à Pitre
tél : 05 90 90 01 83 / guadeloupe@ofii.fr

Poitiers (16, 17, 79, 86)
86, avenue du 8 Mai 1945
86 000 POITIERS

tél : 05 49 62 65 70 / reims@ofii.fr

Reims (08, 10, 51, 52)
26/28, rue Buirette
51 100 Reims
tél : 03 26 36 97 29 / reims@ofii.fr

Rennes (22, 29, 35, 56)
8, rue Jean Julien Lemordant
35 000 Rennes
tél : 02 99 22 98 60 / rennes@ofii.fr

La Réunion (974)
Préfecture de la Réunion, Place du Barachois
97 405 Saint Denis Cedex
tél : 02 62 40 75 69 / ofii-reunion@ofii.fr

Rouen (27,76)
Immeuble Montmorency 1
15, place de la Verrerie
76 100 Rouen
tél : 02 32 18 09 94 / rouen@ofii.fr

Strasbourg (67,68)
4, rue Gustave Doré - CS 80115
67 069 Strasbourg Cedex
tél : 03 88 23 30 20 / strasbourg@ofii.fr

Toulouse (09, 12, 19, 23, 32, 31, 65, 87, 46, 81, 82)
7, rue Arthur Rimbaud, CS 40310
31 203 Toulouse Cedex2
tél : 05 34 41 72 20 / toulouse@ofii.fr